



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება
მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე

ვალერი კალანდაძე

სამაგისტრო ნაშრომი:
საბანკო რეგულირების თანამედროვე სისტემის პრობლემები
და გადაჭრის გზები

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი
ლეილა ლუდუშაური

თბილისი

2019

ანოტაცია

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. ფინანსურ სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისთვის, რადგან ის ასრულებს ყველაზე ეფექტურ შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის.

საქართველოს საბანკო საქმიანობის რეგულირების მექანიზმების საკითხების შესწავლას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს მართვის თანამედროვე ეტაპზე ბანკების როლის გაძლიერება. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს შესაბამისი საბანკო სისტემის შექმნას. შესაბამისად, საბანკო ზედამხედველობის მთავარი ამოცანაა საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება.

საქართველოს თანამედროვე განვითარების პერსპექტივებმა ობიექტურად მოითხოვა საბანკო სისტემის, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილის, მენეჯმენტის მეცნიერული კვლევის გაღრმავება და საბანკო ურთიერთობების სფეროში სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მართვის მეთოდების ახალი რეალიების მეცნიერული დამუშავება.

საფინანსო ინსტიტუტებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდნენ. აუცილებელია საფინანსო სექტორის რისკების მუდმივი მონიტორინგი, როგორც ცალკე აღებული საფინანსო ინსტიტუტის, ასევე მთლიანად სექტორის დონეზე.

ნაშრომის მიზანია უახლესი საბანკო რეგულაციების ანალიზი და მისი გავლენის თეორიული შეფასება და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

Valeri Kalandadze

The problems of the modern system of banking regulations and ways of solution

Annotation

Banking system represents one of the complex and necessary field which is characterized by the features of development and determines effectiveness of economic system overall. The financial sector has a great importance for the country's economy, Because it serves as the most effective mediator between creditors and borrowers.

Strengthening the role of banks at the modern stage of management gives special importance to the study of the issues of regulating mechanisms of banking activity in Georgia. The modern market economy requires the creation of the relevant banking system. Therefore, the main task of banking supervision is to maintain the stability of the banking system.

The modern development perspectives of Georgia have objectively requested to deepen the scientific research of the banking system as part of the financial system and scientific development of new realities of methods of stability and sustainability management in the field of banking.

It is important for financial institutions that they move to a new stage of development. Constant monitoring of financial sector risk is essential as a separate institution of financial institution as well as entirely sectoral level.

The purpose of the work is to analyze the latest banking regulations and theoretical estimation of its influence and to develop practical recommendations.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I. საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები.....	7
1.1 ბანკების საქმიანობის რეგულირების ეკონომიკური მნიშვნელობა.....	8
1.2 საბანკო სისტემისა და ეკონომიკის ურთიერთობის თავისებურებანი.....	26
1.3 საბანკო სექტორის მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორები.....	32
თავი II. ბაზელის კომიტეტის საერთაშორისო სტანდარტები და მათი გამოყენება საქართველოს საბანკო სფეროში.....	41
2.1 ბაზელის კომიტეტის სტანდარტების ძირითადი პრინციპები.....	42
2.2 საზღვარგარეთული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება რეგულირების სფეროში.....	56
თავი III. თანამედროვე საბანკო რეგულაციების სისტემა.....	64
3.1 ფულად -საკრედიტო სფეროს თანამედროვე მდგომარეობა.....	64
3.2 საბანკო სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციები.....	84
დასკვნა.....	87
გამოყენებული ლიტერატურა.....	89

შესავალი

სამაგისტრო ნაშორმის აქტუალურობა. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო საქმიანობის რეგულირების მნიშვნელობა იმ როლმა განაპირობა, რომელსაც ბანკები ასრულებენ ეკონომიკაში. ისინი ასრულებენ დიდ როლს ტრანზაქციური დანახარჯების საერთო დონის შემცირებასა და კაპიტალის გადინების პროცესის შეზღუდვაში. ბანკებს უკავიათ ძალიან დიდი ადგილი საგადამხდელო მექანიზმში. ბანკები იღებენ ვადიან და უვადო დეპოზიტებს და ასევე იღებენ თავის თავზე ვალდებულებას დაფარონ ისინი.

საბანკო საქმიანობა შესამჩნევად აისახება მთლიანად ეკონომიკის განვითარებაში. ასეთი გავლენის გამო ხორციელდება საბანკო რეგულაცია სახელმწიფოს მიერ. იგი უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს რეფორმების თანმიმდევრულ განხორციელებას, იურიდიულ-სამართლებრივი საკანონმდებლო აქტების დროული მიღების საფუძველზე საბანკო სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

სამაგისტრო ნაშორმის მიზანია. საქართველოში საბანკო რეგულირების თანამედროვე პრობლემების გაანალიზება, შესწავლა-შეფასება და მისი გადაჭრის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება.

ნაშორმის ამოცანებია:

- საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტების შესწავლა.
- საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის საერთაშორისო სტანდარტებისა და მათი საქართველოს საბანკო სფეროში იმპლიმენტაციის შესწავლა-შეფასება.
- საბანკო ზედამხედველობის სისტემების საზღვარგარეთული გამოცდილებების და დერეგულაციის შედეგების გაანალიზება.

- საქართველოში ზედამხედველობისა და რეგულირების სისტემის განვითარების თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა.
- უცხო ქვეყნების მაგალითების შესწავლა და მცირე ანალიზი .
- საბანკო სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების ფუნდამენტური ანალიზი, დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა.
- საბანკო სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციების ჩამოყალიბება.

სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა. კვლევა ეყრდნობა სტატისტიკურ, ანალიზურ, შედარებით, აღწერილობით და შეფასებით მეთოდებს. ნაშრომის საფუძველია ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტთა შრომები, საბანკო კანონმდებლობა, ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშები და სხვა თემატური გამოცემები. ასევე გამოყენებულია ბაზელის კომიტეტის საბანკო ზედამხედველობის სტანდარტები, არასაბანკო საფინანსო კომპანიებისა და მედია საშუალებების მიერ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ფინანსური და ანალიტიკური მასალები, პერიოდული გამოცემათა მასალები და სტატისტიკური მონაცემები.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 90 გვერდს. ის შედგება 3 თავისა და 7 ქვეთავისაგან. ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა.

თავი I. საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები

საქართველოს საბანკო საქმიანობის რეგულირების მექანიზმების საკითხების შესწავლას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს მართვის თანამედროვე ეტაპზე ბანკების როლის გაძლიერება. საბანკო საქმიანობა გულისხმობს შესაბამის ინსტიტუტთა ერთობლივ მუშაობას, ამიტომ მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნების ტემპების დაჩქარება, მისი განვითარების მიმართულებებისა და ეფექტურობის განსაზღვრა

პირველ რიგში, ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ მთავრობის მხრიდან ერთ-ერთ ყველაზე მეტად რეგულირებად ინდუსტრიას - კომერციულ ბანკებს. რადგან ბანკები მუშაობენ სესხის მიწოდებაზე, იღებენ დეპოზიტებს, და მათ კლიენტებს უზრუნველყოფენ სხვა ფინანსური სერვისებით. მათი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს იმ კანონებსა და ნორმებს, რომლებიც შემუშავებულია სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის ინტერესების დასაცავად.

არცერთ კომერციულ ბანკს არ შეუძლია საქმიანობის დაწყება ეროვნული ბანკის ლიცენზიის გარეშე, ასევე თუ ბანკი გადაწყვეტს გაფართოებას, შერწყმას, გაერთიანებას, ან პირიქით დაშლას რამდენიმე ბანკად, მან უნდა დააკმაყოფილოს ყველას ის რეგულაცია და სალიცენზიო პირობები, რომლებსაც უყენებს ეროვნული ბანკი. ამასთან, ასეთი ცვლილებების განხორციელება შეუძლებელია ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე.

1.1. ბანკების საქმიანობის რეგულირების ეკონომიკური მნიშვნელობა

რა არის საბანკო რეგულირების არსი და რა მნიშვნელობა აქვს მას ეკონომიკისთვის?

ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა ბანკებზე დამოკიდებულია სამი მნიშვნელოვანი ასპექტით:

1. ბანკებს უკავიათ ცენტრალური ადგილი საგადამხდელო მექანიზმში, რომელიც ემსახურება შინამეურნეობას, სამთვარობო სტრუქტურებსა და სამეწარმეო სფეროს;
2. ბანკები იღებენ პროცენტს და უპროცენტო დეპოზიტებს და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებებს, რომლებიც ფართო გაგებით განიხილება, როგორც "ფული"; ისინი მთლიანად უნდა იყოს უკან დაბრუნებული მოთხოვნისთანავე ან დეპოზიტის ვადის გასვლისას; ეს სახსრები საზოგადოების ფინანსური აქტივების ნაწილს შეადგენს;
3. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკები ასრულებენ წამყვან როლს ფინანსური რესურსების განაწილებაში, ასრულებენ რა საშუალო ფუნქციას ჭარბი სახსრების მქონე დეპოზიტორებსა და პოტენციურ მსესხებლებს შორის, ამ უკანასკნელთათვის გაცემული სახრების დაბრუნებადობის ეფექტიანი შეფასების საფუძველზე.

იმისთვის, რომ ავხსნათ საფინანსო-საკრედიტო სისტემის სამართლებრივი ინფრასტრუქტურა, თუ როგორ გამოიყენება იგი საქართველოში ფულადი კაპიტალის და გადახდის მომსახურების ერთიანი ბაზრის შესაქმნელად, აუცილებელია საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირების, რეგისტრაციის და ლიცენზირების სისტემის ანალიზი.¹

ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემაში მნიშვნელოვან სამართლებრივ ელემენტს წარმოადგენს საბანკო რეგულირება, რომელიც, თავის მხრივ, არის ბანკების მიმართ მოთხოვნათა დაცვის სპეციფიკური სისტემა. იგი განსახვავდება იმ მოთხოვნებისაგან,

¹ საქართველოს ეროვნული ბანკი, ცნობარი საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ, საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები; თბილისი, 2006.

რომელიც წაყენებულია სხვა იურიდიული პირების მიმართ. კონტროლი იმ სპეციფიური მოთხოვნების დაცვაზე, რომლებიც ბანკებს ეკისრებათ, წარმოადგენს საბანკო ზედამხედველობის არსს ფართო გაგებით, ხოლო ვიწრო გაგებით საბანკო ზედამხედველობა, განვითარებული ქვეყნების საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე, ეს არის - იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლითაც სახელმწიფო რწმუნებული ორგანო არეგულირებს და კონტროლს უწევს საკრედიტო ორგანიზაციებისთვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების დაცვას, კერძოდ, აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი სახსრების მდგომარეობას.

საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მთავრი მიზანია საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, კომერციული ბანკების საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების, მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა, აგრეთვე საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ინტერესების მაქსიმალურად დაცვა. საბანკო ზედამხედველობის მარეგულირებელი ორგანოს ამოცანაა, ასევე მომხმარებლის უფლებათა დაცვა, ვინაიდან მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებელი არის კომერციული ბანკების მომსახურება ან არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების საიმედოობა. ამრიგად, საბანკო ზედამხედველობის მთავარი ამოცანაა არა კონკრეტული კრედიტების და მეანაბრების დაცვა, არამედ საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება ე.ი. არ დაუშვას სისტემური კრიზისი, როდესაც რამოდენიმე ბანკის საფინანსო პრინციპები იწვევენ საბანკო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილის ლიკვიდობის დარღვევას. საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს აქვს უფლებამოსილება, რომ ზედამხედველობა გაუწიოს კომერციულ ბანკებს, კერძოდ, ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში აღნიშნულია, რომ სააგენტო ერთადერთი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც უწევს ზედამხედველობას კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საქმიანობას. იგი მოიცავს: ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, შემოწმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას. ხოლო, კომერციული ბანკების შესახებ

კანონის თანახმად, თვითეული კომერციული ბანკი და მისი შვილობილი ორგანიზაცია ექვემდებარება ინსპექტირებას, რომელსაც ახორციელებენ სააგენტოს ინსპექტორები ან სააგენტოს მიერ დანიშნული აუდიტორები.²

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საბანკო ზედამხედველობის განუვითარებლობა იწვევს: პირველი, ეროვნული მეურნეობის სუბიექტების საბანკო დაწესებულებების მიმართ უნდობლობას; მეორე, სათანადო ინფორმაციის არ არსებობის გამო კლიენტებს ფაქტიურად არა აქვთ ბანკის რაციონალური შერჩევის საშუალება; მესამე, პანიკური განწყობის წარმოქმნის შესაძლებლობის მაღალ დონეს; მეოთხე, საკრედიტო რესურსების შესაძლებელ გადადინებას უფრო მყარი საბანკო სისტემის ქვეყნის ბანკებში, რაც მთლიანობაში უარყოფითად მოქმედებს საბანკო სისტემის სტრატეგიულ პერსპექტივებზე.

საბანკო სისტემის ზედამხედველობისა და რეგულირების ამოცანები საფინანსო-საკრედიტო სისტემის სტაბილურობის ამაღლების მიზნით შესაძლოა მიმართული იქნეს ზემოაღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მოსახლეობის ბანკებისადმი ნდობის დაქვეითება გამოწვეულია ინსტიტუციალური სფეროს მკვეთრი ცვლილებით, რომელშიც ხორციელდება საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციები. საბჭოურ პერიოდში ბანკების გაკოტრება ფაქტიურად შეუძლებელი იყო, ხოლო დაკრედიტების და საანგარიშსწორებო ინსტრუმენტები პრიმიტიულ ხასიათს ატარებდნენ.

საქართველოში 1991 წლიდან შეიქმნა სათანადო საკანონდებლო და ნორმატული ბაზა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი უნივერსალური საბანკო სისტემა, ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც მონეტარული პოლიტიკის წარმმართველი და საბანკო სისტემის მარეგულირებელი

² საქართველოს ეროვნული ბანკი, ცნობარი საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ, საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები; თბილისი, 2006.

ორგანო, მეორე მხრივ კი, კომერციული ბანკები ორსაფეხუროვანი საბანკო სისტემის შექმნამ გამოიწვია საფინანსო-საკრედიტო ოპერაციებზე პასუხისმგებლობის გადატანა სახელმწიფოდან კომერციულ ბანკებზე.

საქართველოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის გარდაქმნის პროცესი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა, მკვეთრად შემცირდა წარმოების მოცულობა. ქვეყანა უმწვავეს ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა.

საბანკო სისტემის განვითარების კანონზომიერების შესწავლამ დაგვანახა ასევე ის, რომ 1992-1995 წელში საბანკო კრიზისები საქართველოში განპირობებული იყო, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური მიზეზებით, თუმცა აღნიშნულის შესახებ სწორი ინფორმაციის არარსებობამ მეანაბრებს არ მისცა საშუალება გაეკეთებინათ რაციონალური დასკვნები ამა თუ იმ ბანკის საიმედოობის შესახებ. ასეთი სიტუაციის შედეგი გახდა კერძო საკრედიტო რესურსების ძალზე ნელი ჩაბმა საბანკო მიმოქცევაში. ამ წლებში რეგისტრირებულმა 7 ბანკმა და 34 კომპანიამ ზარალი მიაყენა 62 ათას მეანაბრეს 31 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით. ანაბარზე შეტანილი მინიმალური თანხა შეადგენდა 4 აშშ დოლარს, მაქსიმალური კი 300 ათას აშშ დოლარს და ამ თანხებზე საპროცენტო განაკვეთი 5-30% ფარგლებში მერყეობდა. ხელისუფლებამ ამ მოვლენების არდაშვებისათვის არავითარ ღონისძიებებს არ მიმართა. პირიქით, ტელევიზია ფართო რეკლამას უკეთებდა ამ დაწესებულებებს. შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ ამ საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზია არ გააჩნდათ, შემდგომ როდესაც მოსახლეობა მოტყუებული აღმოჩნდა, სახელმწიფომ მათ დასახმარებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, დაზარალებულ მეანაბრებს საბჭოების და სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბების უფლება მიეცათ და მათი საქმიანობის რეგულირებისათვის შეიქმნა სააქციო საზოგადოებების ზედამხედველობების სამსახური. ასევე პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებებით დაზარალებული მეანაბრეთა ბაზაზე შექმნილი ყველა სააქციო საზოგადოება (მათმა რიცხვმა 23 მიაღწია) ერთი წლის განმავლობაში გათავისუფლდა საგადასახადო

ვალდებულებებისაგან. ამავე ბრძანებით 9 454 მეანაბრეს 300 ათასი აშშ დოლარი ღირებულების 43 ათასი ვაუჩერი გადაეცა. ამ ბრძანებების მეშვეობით კუთვნილი თანხები დაუბრუნდა 62 ათასი დაზარალებულიდან 6 ათას.³

აღნიშნული ღონისძიებები, არასაკმარისია და სავარაუდოდ მიზანშეწონილი იქნებოდა მეანაბრეთა მოტყუებისათვის პასუხისმგებლობის კრიტერიუმის განსაზღვრაც. ამგვარი სიტუაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიგვაჩნია საბანკო სისტემის რეგულირების ინსტრუმენტების არარსებობა სახელმწიფოს და ასევე სუსტი საზედამხედველო პოლიტიკის გატარება სებ-ის მხრიდან. საბანკო დაწესებულებების უმეტეს ნაწილს არ გააჩნდათ შესაბამისი ლიცენზიები. ასევე არსებობდა საბანკო ოპერაციებზე ლიცენზიების მიღების გაადვილებული სისტემა. გარდა ამისა, საქართველოს საბანკო სისტემა მეტად მოუქნელი იყო და ამდენად, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ქვეყანას მრავალ პრობლემას უქმნიდა. მთავარია ის, რომ საბანკო სისტემამ იმ პერიოდში, როგორც ამას აღნიშნავს ზოგიერთი ეკონომისტი, ჯერ კიდევ ვერ იპოვა თავისი ადგილი ეკონომიკაში, ვერ განსაზღვრა თავისი, როგორც ეკონომიკური სუბიექტის როლი და საბანკო სისტემა ფაქტობრივად გამოიყენებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა მიერ მათი ვიწრო პარტიული და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, ეს კი ძირგამომთხრელ ფაქტორად გვევლინებოდა საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევაში.

საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია, ვინაიდან მისი არარსებობა, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს არამდგრადი საკრედიტო ორგანიზაციების განთესვისაკენ. მაგრამ საბაზრო შერჩევის ხარჯები ამ შემთხვევაში ძალიან დიდი იქნება, თავად პროცესი საბაზრო შერჩევისა - მიუღებლად ხანგრძლივი. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საბანკო კრიზისების უშუალო ხარჯები შესაძლებელია აღწევდეს

³ კაკულია რ., მურდულია თ., გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში; თბილისი, 1999.

ქვეყნის საბითუმო პროდუქციის ნახევარს. საბანკო საქმის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ საბაზრო შერჩევა საბანკო სისტემაში, რომელსაც თან ახლავს სისტემური კრიზისები და მეანებრეთა დანაკარგები, შეიძლება საუკუნეების მანძილზე გაგრძელდეს.

გარდა ამისა, მეორე ფუნდამენტალური ფაქტორი, რომელიც საზოგადოების ნდობას ბანკების მიმართ ამცირებს, ესაა მოსახლეობის დაბალი ინფორმირება. აღნიშნული მიზეზი არ შეიძლება სავსებით ლიკვიდირებული იქნეს მოვლენათა ბუნებრივი განვითარების შედეგად. რა თქმა უნდა, საზოგადოების ფინანსური კულტურის ზრდა საზოგადოებაში, კლიენტებს საშუალებას აძლევს უკეთესად მოახდინონ ორიენტირება ბანკების ფინანსურ ანგარიშგებაში და შეადგინონ კრედიტუნარიანობის საკუთარი რეიტინგები, მაგრამ ბევრისთვის ეს პროცესი ძალზე რთულია. საზოგადოების ინფორმირების ამაღლება მიიღწევა საინფორმაციო ანალიტიკური მომსახურების ბაზრის განვითარებით, უპირველესად საკრედიტო რეიტინგების განვითარებით. საკრედიტო რეიტინგებში იგულისხმება სპეციალიზირებული სარეიტინგო სააგენტო, რომლებიც ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას ბანკების საიმედოობის შესახებ. ამასთან სარეიტინგო აგენტების დამოუკიდებლობა წარმოშობს საზოგადოების ნდობის ეჭვის ქვეშ დაყენების საკითხს.

ამრიგად, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სუბიექტი, რომელსაც შეუძლია უსწრაფესად და ეფექტურად უზრუნველყოს მოსახლეობის ნდობა ბანკებისადმი, არის მხოლოდ სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია:

1. რესურსების საბანკო ბრუნვაში ჩაბმვაში;
2. ეკონომიკის სტაბილიზაციის ამაღლებაში;
3. საბანკო სექტორში კრიზისული მოვლენების აღმოფხვრაში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, საბანკო ზედამხედველობის არარსებობა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, დიდი ხნის მანძილზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემის მდგომარეობაზე და პარალელურად იწვევს ნდობის დაკარგვას საბანკო სისტემისადმი.

1991 წლიდან კომერციული ბანკების დაარსება და განვითარება ქაოსურად დაიწყო, საბანკო ლიცენზიის მიღება პრობლემას არავისთვის წარმოადგენდა. შედეგად, ორ წელიწადში ასობით ბანკი გაიხსნა, თუმცა ასობითვე დაიხურა. ხშირ შემთხვევაში ბანკები მხოლოდ აფერა იყო – ისინი მოსახლეობისგან ფულს იღებდნენ, შემდეგ მუშაობას წყვეტდნენ და ბანკის მფლობელები ქვეყნიდან გარბოდნენ. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ კერძო საბანკო სისტემაში ისედაც გაუთვითცნობიერებელმა მოსახლეობამ კიდევ უფრო დაკარგა ნდობა ბანკების მიმართ. ამას თან ერთვის ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დროს შემნახველ სალაროებში შეტანილი ფული ხალხს აღარ დაუბრუნდა. ამ ფულს მოსახლეობა დღემდე ითხოვს.⁴

აღნიშნული მიზეზების გამო არ არის გამორიცხული, რომ ქვეყნის საბანკო სისტემის მენაბრეების ნაწილმა თავისი თანხები შეიტანოს იმ ქვეყნების ბანკებში, სადაც გააჩნიათ ძლიერი სახელმწიფო საზედამხედველო სისტემა. საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საზღვარგარეთის ბანკებში ანაბრების შეტანა ნაკლებადაა სასურველი, ვიდრე დანაზოგები ნაღდ უცხოურ ვალუტაში, ვინაიდან კონკურენციის მთავარ ფაქტორს საბანკო მომსახურების ბაზარზე წარმოადგენს კლიენტურის კონსერვატიულობა. იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს საბანკო სისტემაში, საბაზრო ფაქტორების გავლენის შედეგად, დამყარდება სტაბილურობა, ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი სამამულო ბანკისათვის დაკარგული იქნება, კლიენტების მსხვილ უცხოურ ბანკებში გადასვლის შედეგად. იმისათვის, რომ არ მოხდეს კრედიტორთა მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვა ეროვნული

⁴ გვიჩია მ., კაკაშვილი ნ., გარდამავალი პერიოდის სავალუტო პოლიტიკის პრობლემური საკითხები. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები; თბილისი, 2005.

ეკონომიკისათვის, მიზანშეწონილია უზრუნველყოთ მოსახლეობის ნდობა სამამულო ბანკებისადმი, გარკვეული კომპლექსური ღონისძიებების გატარებით ისე, რომ არ დაველოდოთ საერთო ფინანსურ-ეკონომიკურ სტაბილიზაციას. ამისათვის კი საჭიროა : პირველი, საბანკო ოპერაციების სამართლებრივი უზრუნველყოფა, რომელიც სამოქალაქო კანონდებლობით არის დადგენილი და მეორე, ბანკების საქმიანობის ძირითადი პარამეტრების სახელმწიფოებრივი რეგულირება, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის საგნით არის განსაზღვრული.

საქართველოს სამოქალაქო სამართლიდან გამომდინარე საბანკო ოპერაციებს მიეკუთვნებიან შემდეგი სახის ვალდებულებები:

კრედიტი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 867 მუხლი);

საბანკო ანაზარი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 874-875 მუხლი);

საბანკო ანაზარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 859-866 მუხლი);

თავდებობა და საბანკო გრანტები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 879-891 მუხლი).⁵

საქართველოს სამოქალაქო კანონდებლობის რიგი ნორმები ქმნიან საკმაო სამართლებრივ გარემოს კრედიტორის მიერ თავისი ინტერესების დასაცავად - ვალდებულებათა უზრუნველყოფის ხერხების დიდი არჩევანი, უფლება შემხვედრი მოთხოვნის ჩასათვლელად და ა.შ. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებს შორის ანგარიშსწორებისას ვალდებულებათა უზრუნველყოფის მექანიზმები დიდ როლს ასრულებენ ტრანზაქციური დანახარჯების შემცირების პროცესში.

საბანკო საქმიანობის მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბანკო გარანტიები შედარებით ახალი სამართლებრივი ფენომენია, რომელიც გამოჩნდა ამერიკის შიდა

⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; 1997. www.matsne.gov.ge

ბაზარზე 60-იანი წლების შუა ხანებში, მაგრამ საერთაშორისო საბანკო ოპერაციებში შესამჩნევი ადგილი მხოლოდ 70-იანი წლების დასაწყისში დაიკავა. საბანკო გარანტიები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც წმინდა საფინანსო, ასევე არასაფინანსო კონტრაქტების უზრუნველყოფის მიზნით. სხვადასხვა ქვეყნის კანონდებლობა სხვადასხვანაირად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისაც საბანკო გარანტიის გაცემა შეუძლია. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ესენი არიან “ბანკები, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია”.

საბანკო გარანტიების ყველაზე დიდი თავისებურებაა მათი ძირითადი კონტრაქტისაგან დამოუკიდებლობა, ხოლო მისი მიზანია დაიცვას კრედიტორი დანაკარგებისაგან და პარალელურად ძირითადი მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. ასე, მაგალითად, აშშ-სა და კანადაში სადაზღვევო კომპანიები ხშირად ანხორციელებენ საგარანტიო მომსახურებას ისევე, როგორც სპეციალურ ფასიან ქალაქებთან მომუშავე კომპანიები. ამ ქვეყნებში გარანტიები შეიძლება გასცეს ნებისმიერმა დაწესებულებამ, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა. კრედიტის თვალსაზრისით არასაბანკო და არასადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული გარანტიები ნაკლებად საიმედოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობა შეიძლება არამყარი იყოს, არამედ უფრო იმიტომ, რომ როგორც წესი, ეს კომპანიები ფინანსურად და კომერციულად ძირითად მოვალესთან არის დაკავშირებული. ამიტომ კრედიტორები, მოითხოვენ ბანკებისა და სხვა მდგარდი ინსტიტუტების მიერ გაცემულ გარანტიებს. საბანკო გარანტია გულისხმობს მხარეებს შორის რისკის განაწილებას, რომელიც უმეტესად დამოკიდებულია გარანტიის გადახდის ტიპის შერჩევასა და პირობებზე. საბანკო გარანტიების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს: ჯერ ერთი, ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებების უსაფრთხოება. ეს მიზანი მიიღწევა კრედიტორისათვის ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფინანსური კომპენსაციის უზრუნველყოფით და

მეორე, ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის კომპენსირების შემთხვევაში.

საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის სრულყოფილმა სისტემამ, უნდა გადაწყვიტოს ის ამოცანები, რომლებსაც არ შესწევს უნარი დააკმაყოფილოს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები, მხედველობაში გვაქვს: ჯერ ერთი, ინფორმაციული ასიმეტრიის აღმოფხვრა და ნეგატიური რეფლექსურობის როლის შემცირება საბანკო სექტორში და მეორე, კომერციული ბანკების როლის გაძლიერება საბანკო მენეჯერების დაინტერესების გაზრდის საფუძველზე ეკონომიკის დაკრედიტებაში. ამ მიზნების ეფექტურად შესასრულებლად ბანკების ძალისხმევის კონცენტრაცია უნდა მოხდეს, ერთი მხრივ, კაპიტალის საკმარისობასა და მის აბსოლუტურ მოცულობაზე კონტროლის გაძლიერებით და, მეორე მხრივ, საბანკო აქციებში სახსრების დაბანდების სტიმულირების ეფექტიანი სისტემის შექმნით.

ამრიგად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, როგორც საბანკო საქმის მსოფლიო გამოცდილების პრაქტიკა გვიჩვენებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბანკების ზედამხედველობის რეგულირების სრულყოფის პროცესში ახალი ტიპის ფინანსური ანგარიშგებების დანერგვას, რომლებიც, თავის მხრივ, ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობასთან ერთად გაითვალისწინებენ რისკის მენეჯმენტისა და ბანკის კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებას, საბანკო საქმიანობის ყოველმხრივი ანალიტიკური, კომპლექსური შეფასების შესაძლებლობებს, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პროცესში.

რატომ ხდება ბანკების მკაცრი რეგულაცია უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა საფინანსო ინსტიტუტი? შესაძლოა ძალიან ბევრი არგუმენტის მოყვანა მთავრობისათვის ამ მძიმე და ძვირადღირებული ტვირთის სარეგულაციოდ, მათ შორის ზოგიერთი არგუმენტი რამდენიმე საუკუნის წინანდელიც შეიძლება იყოს.

კომერციული ბანკები იკავებენ ლიდერ პოზიციებს მოსახლეობის დანაზოგებში, განსაკუთრებით კი შინამეურნეობების დანაზოგებში. ძირითადად, უმეტესი წილი შინამეურნეობების დანაზოგებისა მოდის მოკლევადიან, მაღალლიკვიდურ დეპოზიტებზე, ბანკები ასევე ინახავენ დიდი რაოდენობის გრძელვადიან დანაზოგებს საპენსიო ფონდებზე. ამ ფონდებისა და დეპოზიტების დაკარგვა ბანკის მხრიდან დაუდევრობისა თუ კრიმინალის გამო, კატასტროფული შედეგის მომტანი იქნება ბევრი ინდივიდისა და ოჯახისათვის. მიუხედავად ამისა, ბევრ დამზოგველს არ გააჩნია საჭირო კვალიფიკაცია და საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ ადექვატურად შეაფასონ საბანკო რისკები და სხვა საფინანსო სერვისის პროვაიდერები. მამასადაამე, მარეგულირებელი სააგენტოების მოვალეობაში შედის შეაგროვონ და შეაფასონ ის მთლიანი საჭირო ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მათ დაინახონ კომერციული ბანკების და სხვა ფინანსური ფირმების რეალური მდგომარეობა, რათა დაიცვან მოსახლეობა დანაკარგებისაგან. კამერები და დაცვის თანამშრომლები მაქსიმალურად უზრუნველყოფენ დანაკარგების შემცირებას, ქურდობის შემცირების გზით.

პერიოდული გამოცდები და აუდიტი გამიზნულია შეამციროს დანაკარგები მითვისების, თაღლითობის და არასწორი მართვისაგან. სამთავრობო სააგენტოები უზრუნველყოფენ, რომ ბანკები ემორჩილებოდნენ ყველა რეგულაციას და კანონებს, ისე რომ მოსახლეობის დანაზოგები დაცული იყოს.

ბანკებზე განსაკუთრებული ზედამხედველობა მიმდინარეობს, რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა შექმნან ფული მარტივად ხარჯვადი დეპოზიტების სახით სესხებისა და ინვესტიციების გამოყენების გზით. კომერციული ბანკებისა და სხვა ფინანსური ფირმების მიერ შეტანილი ცვლილებები ფულის მასაში მჭიდრო კავშირშია ეკონომიკის მდგომარეობასთან, განსაკუთრებით სამუშაო ადგილების ზრდასთან და ინფლაციის ცვლილებასთან.

ბანკებს და მათ უშუალო კონკურენტებს არეგულირებენ კიდევ იმიტომ, რომ ისინი ამარაგებენ ინდივიდებს და კომპანიებს სესხებით, რომელიც ხელს უწყობს მათ ეკონომიკურ საქმიანობას.

საბოლოოდ, ბანკებს აქვთ ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობებთან გაუგებრობის დიდი ისტორია. ძველ ინდუსტრიულ ისტორიაში მთავრობები, ხშირად ეყრდნობოდნენ იაფ საბანკო სესხს და ბეგრავდნენ ბანკებს ჯარის დასაფინანსებლად და ასევე იმ მარაგების შესავსებად, რომელთა შევსებაც ვერ ხერხდება მოსახლეობიდან ამოღებული პირდაპირი გადასახადებით. უფრო ახლო პერიოდში სახელმწიფოები თანამშრომლობდნენ კომერციულ ბანკებთან გადასახადების შეგროვებასა და სხვა ეკონომიკური საკითხების განხილვისას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბანკების რეგულაცია ხდება ორმაგი საბანკო სისტემით; ეს გულისხმობს ორივე, როგორც ფედერალური, ასევე ადგილობრივი მთავრობების საბანკო რეგულაციების შესაძლებლობებს. ასეთი სისტემა შეიმუშავეს, რათა მიეცათ შტატებისათვის შესაძლებლობა მეტად ეკონტროლებინათ ინდუსტრიები, რომლებიც საქმიანობდნენ მათ ტერიტორიებზე, მაგრამ ამასთან, ფედერალური რეგულაციები უზრუნველყოფენ, რომ ბანკებს მოეპყრონ სამართლიანად თითოეულ შტატში და საზოგადოებაში, რადგან მათი საქმიანობის შედეგები ვრცელდება შტატებს გარეთაც. მთავარი მარეგულირებელი სისტემები აშშ-ის მთავრობაში არიან: ვალუტის მაკონტროლებელი, ფედერალური სარეზერვო სისტემა და ფედერალური დეპოზიტების სადაზღვევო კორპორაცია. სამართლისა და უსაფრთხოების დეპარტამენტს და საბირჟო კომისიას ასევე აქვთ მნიშვნელოვანი, მაგრამ მცირე სარეგულაციო უფლებები, როცა შტატის საბანკო კომისიები წარმოადგენენ ამერიკული ბანკების მთავარ რეგულატორებს შტატების დონეზე.

საქართველოში საბანკო მეთვალყურეობის ისტორიული მიზეზები

საბანკო სისტემის რეფორმის საწყის ეტაპზე განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი ბანკებში საკუთარი კაპიტალისა და ტექნიკური ბაზისის პრობლემამ, მუშაკთა კვალიფიკაციის დაბალმა დონემ და სხვა მრავალმა ფაქტორმა. ასევე, არ იყო კომერციულ ბანკებს შორის სათანადო კონკურენცია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინიციატივით და რეკომენდაციით ქვეყანაში გაფართოვდა ბანკების ლიცენზირების პროცესი. გაიზარდა საწესდებო კაპიტალის ოდენობა. დაიწყო მუშაობა საქართველოში კონკურენტუნარიანი, ნამდვილად კომერციულ საწყისებზე მოქმედი ბანკების წარმოქმნა, რომელიც გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანდა ეროვნულ ეკონომიკას, ვიდრე მრავალრიცხოვანი წვრილი ბანკები.

ქვეყანაში გამოიკვეათა საბანკო რეფორმის მიზანი - ფასების სტაბილურობის, სრული დასაქმებისა და წარმოების რეალური მოცულობის ზრდის უზრუნველყოფა. დაევალა ეროვნულ ბანკებს, როგორც საკრედიტო-ფულადი სისტემის ცენტრალურ ორგანოს, გაეტარებინა ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა დაკრედიტების, ანგარიშსწორების და სავალუტო ურთიერთობების სფეროში. სწორედ საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა მოეწესრიგებინა კომერციული ბანკების საქმიანობა და კოორდინაცია გაეწია საბანკო თამაშის წესისთვის, დღესაც ასეა, ეროვნულ ბანკს ევალება ყოველივე ზემოთაღნიშნული. როცა საქართველო იყო სამანეთო სივრცეში, შეუძლებელი იყო დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება საბანკო სისტემის სფეროში.

საქართველოში ფართო გასაქანი მიეცა უცხოური ბანკების წარმომადგენლობების, ფილიალებისა და ერთობლივი ბანკების გახსნას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ მოითხოვა საბანკო სისტემის რადიკალური რეფორმა, რომლის მიზანი კი საბანკო სისტემის სრულყოფაა. 1994 წლის ოქტომბრამდე ინფლაციის თვიური ტემპი 70%-ს აღწევდა. პირველ რიგში საჭირო იყო ჰიპერინფლაციის შეჩერება. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით შეჩერდა საკრედიტო ემისია, რასაც მოჰყვა საპროცენტო განაკვეთების ლიბერალიზაცია. მიმოქცევაში ფულის მასის შეზღუდვის მიზნით ამოქმედდა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ინსტიტუტი, რომლის დონე 20%-ით განისაზღვრა. ამით კომერციულ ბანკებს ევალებათ მოზიდული სახსრების მეხუთედის შენახვა ეროვნულ ბანკში რეზერვის სახით. ეროვნულ ბანკს უნდა გაეტარებინა ანტიინფლაციური ღონისძიებები და უნდა შეეჩერებინა ჰიპერინფლაცია. ფულადი მასის კონტროლისათვის მას უნდა გამოეყენებინა ისეთი რეგულატორები, როგორცაა ბანკთაშორისი საკრედიტო განაკვეთი და სავალდებულო რეზერვების ნორმა.⁶

ჰიპერინფლაციის პირობებში ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთის მაღალი დონე სავსებით სწორ გადაწყვეტილებად არის მიჩნეული. ამ გზით მიიღწევა სამი სახეობის ეფექტი: 1. ყველა ბანკს არ შეუძლია შეიძინოს ძვირადღირებული სახელმწიფო კრედიტი, ხოლო რაც უფრო ცოტა იქნება იმ ბანკთა რაოდენობა, რომლებიც ეროვნული ბანკიდან მიიღებენ სესხს, მით უფრო ნელა გაიზრდება ფულადი მასა მიმოქცევაში; 2. თუკი ზოგიერთი ბანკი მაინც შეიძენს ამ ძვირადღირებულ სახელმწიფო კრედიტს, იგი იძულებული იქნება მნიშვნელოვნად აამაღლოს თავისი ოპერაციების ეფექტიანობა, შეეცდება მხოლოდ ისეთი პროექტები დააკრედიტოს, რომლებიც ყველაზე კარგად იქნებიან ორიენტირებულნი მოთხოვნაზე და საკმაოდ

⁶ კაკულია რ., მურულუა თ., გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში; თბილისი, 1999.

მაღალი მოგების მიცემის გარანტიას მისცემენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ძვირადღირებული კრედიტის ამღები ბანკისათვის ძნელი იქნება ეროვნულ ბანკთან ანგარიშის გასწორება; 3. ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთის ზრდას თან სდევს ჩვეულებრივი კრედიტის გაძვირება, ვინაიდან ბანკები შეეცდებიან ძვირადღირებული სახელმწიფო კრედიტის შეძენით გამოწვეული ფინანსური დაანაკარგები მოახვიონ თავიანთ კლიენტებს. ასეთ შემთხვევაში ფულზე მოთხოვნა შემცირდება და, მაშასადამე, შედარებით ნელა გაიზრდება მიმოქცევაში ფულის მასა.

ამასთან, ეროვნული ბანკის მანევრირების ეს ფორმა ნეგატიურ ეფექტებს წარმოქმნის წარმოების სფეროში საქონლისა და მომსახურების ბაზარზე, ვინაიდან, რაც უფრო ძვირია კრედიტი, მით უფრო ნაკლებია მიდრეკილება ინვესტიციებისადმი, მით უფრო ნელა ვითარდება ეკონომიკა. ბანკთაშორისი კრედიტის ამაღლებით ეროვნული ბანკი, ინფლაციასთან ერთად, თვით საინვესტიციო პროცესსაც ახშობს. ამიტომ ეს უკანასკნელი, რომ არ მოხდეს, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მსგავსი ეფექტების კომპენსაციისათვის, რისთვისაც მან უნდა გამოიყენოს შესაბამისი ბერკეტები.

ეროვნული ბანკის მეორე რეგულატორის - სავალდებულო რეზერვების ნორმის საფუძველზე გამოითვლება იმ ფულადი თანხის ოდენობა, რომელიც უნდა შეიტანონ კომერციულმა ბანკებმა ეროვნულ ბანკში და რომელთა სესხად გაცემის უფლება მათ არ აქვთ. ეროვნულმა ბანკმა ფულადი მასის კონტროლისათვის უნდა გამოიყენოს სხვა რეგულატორებიც. ეროვნული ბანკი თავისუფალი უნდა იყოს მისთვის არადამახასიათებელი ისეთი ფუნქციებისაგან, როგორცაა მაგალითად საწარმოთა დაკრედიტება, იგი კომერციული ბანკების საქმეა და სხვა.

ამასთან, ეროვნულ ბანკს მხოლოდ მაშინ შეუძლია ეფექტიანი ფუნქციონირება, როდესაც იგი დამოუკიდებელია ხელისუფლებისაგან და ექვემდებარება მხოლოდ კანონმდებლობას. უაღრესად რთულ პერიოდში დაიწყო თავისი საქმიანობა სახელმწიფოში ახლად შექმნილმა ეროვნულმა ბანკმა, მართალია იგი შეიქმნა მკაცრი

წესების დაცვით, სათანადო უფლებების მინიჭებით, რომ განეხორციელებინა ჯანსაღი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. 1995 წლის ივნისში „ეროვნული ბანკის კანონის“ და 1996 წლის თებერვალში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის მიღებით, გადაიდგა პირველი ნაბიჯი საბანკო სისტემის კანონმდებლობით სრულყოფის საქმეში. ამ კანონებმა ჩამოაყალიბეს საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც კომერციული ბანკების მაკონტროლებელი ორგანოს, პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების ფარგლები. აქვე საფუძველი ჩაეყარა ლიკვიდაციის მექანიზმს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაამყარა არა მარტო უკვე ლიცენზირებული ბანკების მოქმედების წესის ცხოვრებაში გატარება, არამედ დაიწყო ფაქტობრივად ლიცენზიების გადამოწმება. ყველა ბანკს დაევალა საკუთარი საბალანსო ანგარიშების ახალ მარეგულირებელ მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანა, საერთო და ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდა და კაპიტალის სავალდებულო მნიშვნელობის მოთხოვნების დაკმაყოფილება⁷.

განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციები. საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქცია გახდა ფულის მიმოქცევის, დაკრედიტების, დაფინანსების, ანგარიშსწორების, სავალუტო ურთიერთობების სფეროში რესპუბლიკაში ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის მართვის მყარი ფულად მიმოქცევისა და ქართული ფულის მსყიდველობითი უნარის განმტკიცების უზრუნველყოფა, ქართული ფულის გამცვლელი რეალური კურსის დადგენა სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებთან. კომერციულ ბანკების კოორდინაცია და ზედამხედველობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ყოველგვარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის, რომ არც ერთ ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია წარმართოს ფულის მიწოდებისა და

⁷ კაკულია რ., მურულუა თ., გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში; თბილისი, 1999.

სარგებლის განაკვეთის ერთდროული სტაბილიზაცია. პრაქტიკით არის შემოწმებული, რომ დღემდე არც ერთი ქვეყნის ფულად-საკრედიტო დაწესებულებას არ მიუღწევია იმ დონემდე, რომ ერთდროულად უზრუნველყო მიწოდებისა და სარგებლის განაკვეთის სტაბილიზაცია. ვთქვათ, რომ ცენტრალურმა ბანკმა მიზნად დაისახა სარგებლის განაკვეთის სტაბილიზაცია, იმიტომ, რომ მისი მერყეობა საინვესტიციო ხარჯების დესტაბილიზაციას იწვევს, რასაც ეკონომიკის დესტაბილიზაციამდე მივყავართ, მეორე შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკი მოინდომებს მხოლოდ ფულის მიწოდების სტაბილიზაციას, ამ პირობებში ის უნდა შეურიგდეს სარგებლის განაკვეთის მერყეობას, რაც გამოიწვევს მაკროეკონომიკურ დესტაბილიზაციას, საიდანაც გამოსვლა ძნელია.

1995 წლის ბოლოსათვის საწარმოებისათვის სესხად გაცემული 81 მილიონი ლარიდან ვადაგადაცილებული სესხები და საპროცენტო გადასახადები 60 მილიონ ლარს ანუ 75%-ს აღემატებოდა, ანუ მათი მოცულობა აჭარბებდა საბანკო სისტემის საერთო კაპიტალს, რაც ნიშნავს, რომ სისტემა ფაქტობრივად არაქმედუნარიანი იყო. ის ბანკები, რომლებიც წინდახედული მმართველობის ხელში იმყოფებოდნენ და შედარებით კარგად იყვნენ კაპიტალიზირებულნი, საბანკო სისტემის მეტად მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ, რათა შეექმნათ საფუძველი ეფექტური საბანკო შუამავლების გაჩენისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შინამეურნეობების ნდობა ბანკების, როგორც დანაზოგების შენახვის უსაფრთხო ადგილის მიმართ კვლავ აღსდგებოდა. მსგავს პრობლემებს წააწყდნენ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც და მათ გადასალახავად მთელი რიგი ღონისძიებები იქნა ნაცადი. საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიდგომა არსებითად იყო ბანკების რეკაპიტალიზაციის მიზნით სახელმწიფო სახსრების გამოყენებისათვის თავის არიდება. ამის ორი მიზეზი არსებობდა: პირველი, ქვეყანას არ ჰქონდა ფული, ხოლო მისი უბრალო დაბეჭდვა ძირს გამოუთხრიდა სტაბილიზაციის პროცესს; და მეორე, არსებობდა საშიშროება ბანკების ახალი მაკონტროლებელი სისტემის ავტორიტეტის შერყევისა. ამ გადაწყვეტილების მიღება მარტივი არ ყოფილა, ვინაიდან კომერციული ბანკები, რომლებსაც სურდათ ტვირთის

ნაწილი მაინც მთავრობისა და ეროვნული ბანკის ზურგზე გადაეტანათ, მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდნენ ამას. ისევე, როგორც ეს მოხდა ეკონომიკური რეფორმების სხვა სფეროებში. მარეგულირებელი წესების ახალი სისტემა ძალაში შევიდა 1996 წლის სექტემბრის ბოლოდან, მარეგულირებელი წესდება ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომლებიც არა მარტო დაიცავენ ბანკს გაკოტრების საშიშროებისაგან, როდესაც ერთი დეპოზიტორი, ან მსესხებელი დახურავს თავის დეპოზიტს, ან ვერ დააბრუნებს ვალს, არამედ აიძულებს კიდევაც ბანკს ეძებოს ახალი დეპოზიტები ან მსესხებლები და, შესაძლოა, სხვა ბანკებსაც გაეჯიბროს მათ მონახვაში. ეს იყო სერთიფიკაციის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, რადგან აქამდე არსებული წესების დაცვის შემთხვევაში ბანკებს პრაქტიკულად არ შეეძლოთ მუშაობა, როგორც ბანკებს. შემოღებული იქნა დამატებითი შეზღუდვები ბანკის მფლობელობაზე და საბანკო ინვესტიციების მოცულობაზე. ნებისმიერ აქციონერს, რომელიც არ წარმოადგენს სერთიფიცირებულ ბანკს, ესაჭიროება საქართველოს ეროვნული ბანკის ნებართვა ნებისმიერი ბანკის აქციების 20 პროცენტზე მეტის ფლობაზე. ბანკს არ შეუძლია ფლობდეს ნებისმიერი სხვა კომპანიის 20 პროცენტზე მეტს და ეს წილი სხვა კომპანიის კაპიტალში არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საერთო კაპიტალის 15 პროცენტს. უფრო მეტიც, ნებისმიერი ინვესტიციის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია ამ ინვესტიციის ტოლი რეზერვი შექმნას, როგორც საკუთარი მეორადი კაპიტალის წილი.

1.2 საბანკო სისტემისა და ეკონომიკის ურთიერთობის თავისებურებანი

წელს საქართველოს ეკონომიკა წინასწარი მონაცემებით 4.7 პროცენტით გაიზარდა.⁸ ეკონომიკის უმსხვილესი დარგი, ვაჭრობა, 2018 წელს 5.9 პროცენტით გაიზარდა. ვაჭრობა წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მაღალი ტემპით (პირველ კვარტალში - 5.9, მეორე კვარტალში კი 9.8 პროცენტით) იზრდებოდა, რაც მოთხოვნის გარკვეულ გამოცოცხლებაზე მიუთითებდა, თუმცა წლის მეორე ნახევარში ზრდა შენედა. ეს ძირითადად საცალო ვაჭრობის რეალური შემცირების გამო მოხდა. საცალო ვაჭრობის კლება, თავის მხრივ, ადგილობრივი მოთხოვნის შესუსტებაზე მიუთითებს. საგარეო მოთხოვნის ზრდის ფონზე 3.2 პროცენტით გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობა. აქ გამოსაყოფია ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების, მეტალურგიული პროდუქციისა და ლითონის მზა ნაკეთობების წარმოების ზრდა, რაც ამ პროდუქტების ექსპორტის ზრდაშიც გამოიხატა. მაღალი ზრდა განაგრძო საფინანსო სექტორმა, რომელიც 13.5 პროცენტით გაიზარდა. ზრდაში უდიდესი წვლილი, 4.5 პროცენტული პუნქტი (პპ), მომსახურებაზე მოდიოდა, ინდუსტრიული დარგებზე - 0.2 პპ, ხოლო სოფლის მეურნეობაზე - 0.0 პპ. გასულ წელს ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვანწილად ძლიერი საგარეო მოთხოვნა განსაზღვრავდა. ქვეყანაში შემოსულ უცხოელ ვიზიტორთა გაზრდილი ნაკადი განსაკუთრებით პოზიტიურ გავლენას ახდენდა უძრავი ქონებით ოპერაციებზე, რესტორნებსა და სასტუმროებზე და ტრანსპორტის დარგებზე. უძრავი ქონებით ოპერაციებში, სადაც უცხოელთა მონაწილეობა მაღალია, ზრდამ 12.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო წვლილი მშპ-ს ზრდაში 0.7 პპ-ით განისაზღვრა. მესამე კვარტლის ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი კონტრიბუცია ტრანსპორტის დარგმა შეიტანა, რომელიც 9.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მისმა წვლილმა 0.6 პპ შეადგინა. დიდი წილი ამ ზრდიდან სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული

⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში; 2018.

აგენტების საქმიანობასა და საჰაერო ტრანსპორტის ზრდაზე მოდის, რაც ასევე უცხოელ ვიზიტორთა გაზრდილ ნაკადს უკავშირდება. უცხოელთა მონაწილეობა მნიშვნელოვანია სასტუმროებისა და რესტორნების გამოშვებაზე, სადაც ზრდამ წინა წელთან შედარებით 9.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო წვლილი ზრდაში 0.2 პპ-ით განისაზღვრა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა განისაზღვრება რა საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებით, მოიცავს განსაკუთრებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშვება სასესხო კაპიტალის მოძრაობისას კრედიტორსა და მსესხებელს შორის და ამის შედეგად თვით ბანკებს შორის. ამასთან ფულად-საკრედიტო რეგულირების ობიექტს წარმოადგენს მიმოქცევაში არსებული ფულადი მასა და სასესხო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთი. ეროვნული ბანკი ამ პარამეტრებზე ზემოქმედებისათვის იყენებს ისეთ ბერკეტებს, როგორცაა სავალდებულო ნორმათა რეგულირება, ღია ბაზარზე ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები, რეფინანსების განაკვეთები და ა.შ.

საქართველოს საბანკო სისტემაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის საფუძველზე, ეროვნული ბანკი განისაზღვრება, როგორც ქვეყნის მთავარი ბანკი და ბოლო ინსტანციის კრედიტორი. როგორც განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, შესაძლებელია საბანკო საქმიანობის რეგულირების შემდეგი ფორმულის გამოყენება - რწმუნებული უწყებების მიერ გარკვეული დებულებების, ბრძანებების და ა.შ. კონკრეტული უფლებების დადგენა მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, რომელიც საბანკო საქმის სტრუქტურასა და სახეობებს განსაზღვრავენ.

ეს კანონები, დებულებები და ბრძანებულებები საბანკო სისტემისათვის ქცევის ისეთ ჩარჩოებს ქმნიან, რომელიც ხელს უწყობს მის საიმედოობასა და მდგრადობის განმტკიცებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტერმინი „რეგულირება“ გამოხატავს გარკვეული წესების დადგენასა და გამოყენებას, რომელთა შესრულებაც

სავალდებულოა ყველა კომერციული ბანკისათვის, ხოლო რაც შეეხება კონტროლს, მის სფეროსა და მიზანს წარმოადგენს მოქმედი წესების დაცვა.

გარდამავალ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ცენტრალური ბანკის ზემოქმედება კომერციული ბანკების საქმიანობაზე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში დაგროვილი პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, უნდა განხორციელდეს შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით, რომლებიც ამასთანავე წარმოადგენენ საბანკო სისტემაში ეკონომიკურ ურთიერთობების თავისებურებებს:

1. საერთო საკანონდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო პირობების შექმნით, რომელიც საშუალებას მისცემს კომერციულ ბანკებს მოახდინონ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების რეალიზება;

2. ფულად-საკრედიტო რეგულირების ღონისძიებების განხორციელებით, რომლებიც ზემოქმედებას მოახდენს კომერციული ბანკების რესურსების ოდენობის შეცვლით, მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობასა და სტრუქტურაზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკის დასაკრედიტებლად;

3. ბანკების ბალანსის ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით ეკონომიკური ნორმატივების დადგენით და მათზე ზედამხედველობის გაძლიერების საფუძველზე.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებზე ზემოქმედების სელექციურ მეთოდების გამოყენებას ანხორციელებს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს წარმოების დაცემას, დარღვეულია კვლავწარმოების პროპორციები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კონიუქტურული რყევებისა და დეპრესიების გადალახვისათვის, ინფლაციური პროცესების დაძლევის

უზრუნველსაყოფად, ინვესტიციებისა და საწარმოების ზრდის სტიმულირებისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიო საბანკო ბაზარზე, მეტად მნიშვნელოვანია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა ქვეყნაში არსებული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს კომერციული ბანკების რეფინანსირებას, რომელიც გულისხმობს კომერციული ბანკების დაკრედიტებას, ასევე თამასუქების აღრიცხვას და განაღდებას. კომერციული ბანკების რეფინანსირების ინსტრუმენტების სახით გამოდიან ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირებისა და სააღრიცხვო (სადისკონტო) განაკვეთი, ხოლო მოცემული ცვლადების სიდიდის ორიენტირად გამოიყენება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების განმსაზღვრელი მაჩვენებლები. მათი ცვალებადობა საკრედიტო რესურსების მიწოდებას, ზრდის ან ამცირებს და აქედან გამომდინარე, ამით პარარელურად მათზე მოთხოვნასაც განსაზღვრავს.

ცენტრალური ბანკები კომერციული ბანკების რეფინანსირებას იმ შემთხვევაში ახორციელებენ, როდესაც ამ უკანასკნელთ ლიკვიდობაში დროებითი პრობლემები ექმნებათ და ცენტრალურ ბანკს დაკრედიტების თაობაზე მიმართავენ თხოვნით ან, თუ აღნიშნული ფინანსური სიმწელები საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ცენტრალური ბანკის რეფინანსირება ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რომელთაგან იგი უპირველეს ყოვლისა სამი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს; 1. აღკვეთოს საბანკო კრიზისების გავრცელება ან შეზღუდოს საბანკო სისტემებზე მათი ზემოქმედების სფერო;

2. ხელი უნდა შეუწყოს ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას და 3. უზრუნველყოს სხვადასხვა სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირება.

განსაკუთრებით, ყურადღების გამახვილება არის საჭირო იმ გარემოებაზე, რომ ფულად-საკრედიტო რეგულირების სისტემაში რეფინანსირების მექანიზმი უნდა განვიხილოთ, როგორც ორმაგი ეფექტის მომცემი პოლიტიკა, მხედველობაში გვაქვს მისი რაოდენობრივი და ღირებულებითი ეფექტი. რაოდენობრივი ეფექტი, გამოიხატება რეფინანსირების ზომებსა და ფულადი მასის რეგულირებათა ცვლილებაში, ხოლო ღირებულებითი - იმაში, რომ იგი უშუალოდ გავლენას ახდენს კომერციული ბანკების მხრიდან რესურსების მოთხოვნის დონეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეფინანსირების ღირებულების ამაღლება ამცირებს მის მოცულობას, და პირიქით. ეს დამოკიდებულია ეკონომიკური აგენტების მხრიდან საბანკო კრედიტებზე მოთხოვნის ცვლილებებზე და მისი ღირებულებისადმი მგრძობელობაზე. ამიტომ ცენტრალური ბანკი რეფინანსირებას იყენებს, როგორც საპროცენტო განაკვეთებზე ზემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს.

ამრიგად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საბოლოო მიზნები უნდა იყოს: ინფლაციის ტემპის შემცირება, ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაცია, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდა, ინვესტიციების გადიდების ტემპისა და დასაქმების უზრუნველყოფა. აღნიშნულის წარმატებით რეალიზაცია გულისხმობს, როგორც ცენტრალური ბანკის ინსტრუმენტების, ასევე საოპერაციო და შუალედური მიზნების მაღალ ეფექტურობას. ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა უნდა ექვემდებარებოდეს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნები და ინსტრუმენტები, მათი ურთიერკავშირი საშუალებას იძლევა განისაზღვროს ცენტრალური ბანკის და სხვა ეკონომიკური

პროფილის სამინისტროების პასუხისმგებლობის საკითხი ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის მიღწევის თვალსაზრისით.

განვიხილოთ საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები, მათი მოქმედების ნაკლოვანებები და მდგომარეობის გაუმჯობესების გზები. ორიარუსიანი საბანკო სისტემის პირობებში ეროვნული ბანკი ძირითად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემდეგ ინსტრუმენტებს იყენებდა: კომერციული ბანკების რეფინანსირებას, - სავალდებულო რეზერვების ნორმების განსაზღვრას, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების განხორციელებას ღია ბაზარზე.

1.3 საბანკო სექტორის მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორები

საბანკო სისტემას სტრატეგიული მდგომარეობა უკავია ეკონომიკაში. საბანკო სექტორის მდგრადობა განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, კერძოდ, საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილებით, საპროცენტო განაკვეთების დინამიკით, სავალუტო კურსებით, ფასიან ქაღალდებზე ფასების ცვლილებით, ინფლაციის დონით. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ სისტემის რაოდენობრივ მახასიათებლებზე და შეუძლიათ მისი მთლიანობის დარღვევა. ზემოთ დასახელებულ ცვლადთა ერთობლიობა, თავის მხრივ, განისაზღვრება მაკროეკონომიკური პარამეტრებით, როგორცაა: ბიუჯეტის დაბალანსება, საგადასახადო პოლიტიკა, სახელმწიფო საშინაო და საგარეო სესხები, საინვესტიციო აქტივობა, ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების შესაბამისობა და სხვა.

საბანკო სისტემის სტაბილურობა განისაზღვრება, მისი ელემენტებისა და მთლიანობაში სისტემის ფინანსური მდგრადობის ხარისხით, შესაძლებელი სტრუქტურული ცვლილებებით, მაგალითად, სპეციალიზებული საკრედიტო ორგანიზაციების შექმნით ან ზრდით, როგორც საგარეო და საშინაო ფაქტორებზე ზემოქმედების საპასუხო რეაქცია; კომერციულ ბანკთა წრის გაფართოებით ან შემცირებით, მათი საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში სახელმწიფო მონაწილეობით; საბანკო სისტემის ელემენტების ფინანსური მდგრადობით და მართვის ხარისხით, მათი სტრატეგიული მიზნებით და სხვ. ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია საბანკო სისტემის მდგრადობის განსამტკიცებლად, საშუალებას იძლევა არასასურველი ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში საბანკო სისტემის სტაბილური განვითარების პირობების შესაქმნელად. თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკურ ლიტერატურაში უცხოელი და ქართველი მეცნიერები დიდი ინტერესით იკვლევენ ეკონომიკური "წონასწორობის", "სტაბილურობისა" და "მდგრადობის" ტერმინებს. ამასთან, ძირითადად აქცენტი კეთდება ეკონომიკური წონასწორობის

იმგვარი მოდელისა და კონცეფციის შემუშავებაზე, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას. „სტაბილური - ესაა მუდმივი, მტკიცე, მყარი, მდგრადი“ . ანალოგიურად განისაზღვრება ცნება „სტაბილური“ საფინანსო-საკრედიტო ლექსიკონში. მდგრადი წონასწორობა საბანკო სისტემის მიმართ შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სისტემის უნარი შეასრულოს მისთვის დამახასიათებელი ფუნქციები და ოპერაციები, იმ პირობით, თუ დაცული იქნება სისტემის მთლიანობა და მისი ელემენტების ფინანსური მდგრადობა, რაც საშუალებას აძლევს სისტემას საშინაო და საგარეო ფაქტორების ზემოქმედების შემდეგ დაუბრუნდეს წონასწორულ მდგომარეობას. მდგრადობა უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე მდგრადი წონასწორობა, ვინაიდან დროის მხოლოდ კონკრეტულ მომენტში (სტატიკაში) განსაზღვრავს სისტემის უნარს, შეასრულოს მისთვის დამახასიათებელი ფუნქციები და დააკმაყოფილოს ძირითადი ნორმატიული მაჩვენებლები. მდგრადობის ანალიზისას განმსაზღვრელს წარმოადგენს აწმყო-შიდა დრო და წარსული. გამომდინარე ზემოთქმულიდან, საბანკო სისტემის მდგრადობა შეიძლება შევაფასოთ მხოლოდ სავარაუდო ფორმით, ვინაიდან შეფასება ტარდება სტატიკაში (დროის კონკრეტულ მომენტში) ან შედარებით სტატიკაში (ისტორიული მონაცემების საფუძველზე) და არ ითვალისწინებს საშინაო და საგარეო ფაქტორების შესაძლებელ ზემოქმედებას მომავალში. მაკროდონეზე საბანკო სისტემის მდგრადობის სხვა საბაზო პირობას წარმოადგენს საბაზრო ინფრასტრუქტურის არსებობა. ჩვეულებრივ, საბაზრო ინფრასტრუქტურად მოიაზრება მატერიალური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, საინფორმაციო, საფინანსო და სამართლებრივი ხასიათის სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზრო მექანიზმის შეუფერხებელ ფუნქციონირებას და კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობას საქონლისა და მომსახურების სარეალიზაციო ფასების საფუძველზე, რაც ბაზარზე მიიღწევა გადახდისუნარიანი მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობით. საბანკო სისტემასთან მიმართებაში შეიძლება გამოვყოთ საბაზრო ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტები: საბანკო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, საფინანსო ბაზრები და მათთვის

დამახასიათებელი ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა. საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევაში როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში. მდგრადობის პრობლემა, ფართო გაგებით, მთავარია არა მარტო საბანკო საქმიანობაში, არამედ იგი გადამწყვეტია საბაზრო ეკონომიკის სხვა ფინანსური ინსტიტუტებისთვისაც, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, მასში აისახება კონკურენციული გარემოს პირობებში ყველა ეკონომიკური სუბიექტის ურთიერთობები ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევის პროცესში. ქვეყნის ეკონომიკაზე რეალურად ზემოქმედების ფაქტორებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია საბანკო სისტემის ფუნქციონირების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პირობების განსაზღვრას. აღნიშნული პირობების შესწავლასთან ერთად, საჭიროა მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის მდგრადობის მექანიზმების შემუშავება. ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის აუცილებელია გაირკვეს:

- შეიძლება თუ არა საბანკო სისტემა პასუხობდეს ფინანსური მდგრადობის კრიტერიუმებს ეკონომიკური გარემოს არასტაბილურობის პირობებში?
- როგორია მდგრადობის რეგულირების მექანიზმები?
- რა მოეთხოვება მმართველ ორგანოებს ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების თვალსაზრისით?

საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმ მიდგომაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საკრედიტო დაწესებულებათა ფუნქციონირების პროცესში. საბანკო საქმიანობაში რისკების მართვის საკითხების განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა საერთოდ რისკების აღმოფხვრას, არამედ წინასწარი გაანალიზების საფუძველზე მათ მინიმალურ სიდიდემდე შემცირებას დივერსიფიკაციის წინასწარ მოფიქრებულ ღონისძიებათა საშუალებით. პრევენციულ

ღონისძიებებთან ერთად, რისკების მართვის პროცესში, არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია სხვადასხვა საფრთხეების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების ზეგავლენის შემცირებაც. კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობა მიიღწევა იმ ეკონომიკური ნორმატივების დაცვით, რომლებსაც ცენტრალური ბანკი უსაზღვრავს საბანკო სისტემას. ეს ნორმატივებია: კაპიტალის საკმარისობის უზრუნველყოფა, აქტივების ხარისხის ამაღლება, რისკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა, დეპოზიტების დაზღვევის უზრუნველყოფისთვის საჭირო პირობების შექმნა და საბანკო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო რეგულირება და ა.შ. როგორც ცნობილია, 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა არამდგრადი კონიუქტურის მქონე კომერციული ბანკები, რომელთა საქმიანობის გამო მოსახლეობასთან ერთად დაზარალდა მრავალი კრედიტორი. აღნიშნული მდგომარეობა განპირობებული იყო კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის სისტემის არარსებობით. უკანასკნელ პერიოდში არასაიმედო აქტივების მქონე ბანკების რესტრუქტურირებამ, აგრეთვე იმ ბანკების დახურვამ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი მინიმალური საწესდებო კაპიტალის შექმნა და ეკონომიკური ნორმატივების შესრულება, ხელი შეუწვევს საბანკო სისტემის საიმედოობასა და მდგრადობის განმტკიცებას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით საბანკო სისტემის ყველა რგოლის მიმართ მოსახლეობის მხრიდან ნდობის აღდგენა სათანადო დონემდე ჯერ კიდევ არ მომხდარა. თანამედროვე პირობებში ბანკებისადმი ნდობისა და პასუხისმგებლობის მექანიზმის ამაღლებისათვის, საბანკო საქმიანობაში რისკის ფაქტორისა და მისი მინიმუმამდე დაყვანისთვის, საჭიროა საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორების და პირობების გამოკვლევა, მათი განხილვა საბანკო საქმიანობის სტრატეგიის და ტაქტიკის შემუშავებაზე საფუძველზე. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, რომ განვსაზღვროთ სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენა მთელი საბანკო სისტემის მდგრადობაზე. ბანკების საიმედოობის და

მდგრადობის ფაქტორების ანალიზის კომპლექსური მიდგომიდან გამომდინარე, არსებობს შემდეგნაირი მეთოდოლოგიური დაჯგუფება:

1. საერთო ეკონომიკური ფაქტორები;
2. სახელმწიფო და სამართლებრივი ფაქტორები;
3. საბანკო სისტემაში სახსრების მოდინების წყაროებზე მოქმედი ფაქტორები;
4. საბანკო რესურსების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები;
5. შიდა საბანკო საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორები.

ბანკების ეფექტური საქმიანობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სტაბილური ეკონომიკური გარემო, რადგანაც იგი ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკური სისტემის დინამიურ წონასწორობაზე. საბანკო სექტორის მდგრადობაზე დადებით გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორი, როგორცაა კომერციული ბანკების რესტრუქტურისა, რომელიც მიმართულია საბანკო სექტორის ფინანსური რყევის აღმოფხვრისა და მისი გადახდისუნარიანობის აღდგენისკენ, ან მათი ლიკვიდაციის პროცედურების განხორციელებისაკენ. რესტრუქტურისა ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. თუმცა მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ რესტრუქტურისა წარმოადგენს მთლიანად საბანკო სისტემის სანაცვას (გაჯანსაღებას) და ამ გზით მის გამოყვანას კრიზისიდან. ზოგჯერ მის ნაცვლად „საბანკო სისტემის სტაბილიზაციის“ ტერმინსაც იყენებენ. საბანკო სექტორის მდგრადობაზე განსაკუთრებული როლი აკისრია კომერციული ბანკების ფინანსური საქმიანობის ზედამხედველობის ამაღლებას. როგორც ცნობილია, საბანკო სისტემაში თანხების მოზიდვა ხორციელდება სხვადასხვა წყაროებიდან, რომელთა შორის ძირითადია: კომერციული ბანკების საკუთარი სახსრები, მეურნე სუბიექტების სახსრები, მოსახლეობის დანაზოგები, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფონდების სახსრები. კომერციული ბანკები სახსრების ნაკლებობის შესავსებად თავისუფალ ბაზარზე „ყიდულობენ ფულს“. საქართველოში ეს ბაზარი წარმოდგენილია

ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების ბაზრის სახით. ბანკში სახსრების მოზიდვის გადამწყვეტი ფაქტორია, აგრეთვე, ბანკის რეპუტაცია და მისი ოპერატიულობა მომსახურების მრავალ სახეობებთან ერთად. გარდა ამისა, საბანკო საქმიანობაში მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების ეფექტიანი დაბანდება. ბანკის განკარგულებაში არსებული თანხების განთავსება ხდება შემდეგი სახის ოპერაციებში: საკრედიტო ოპერაციები, ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში, სხვა აქტიური ოპერაციები. კომერციული ბანკების მდგრადობაზე მოქმედ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია შიდა საბანკო ფაქტორები: მენეჯმენტისა და პერსონალის კომპეტენცია; საბანკო პოლიტიკა; სპეციალისტების მომზადების სისტემა; საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ბანკის ტექნიკური ბაზა; ინფორმაციული უზრუნველყოფის დონე; მუშაობის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის ხარისხი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკების მდგრადობის შეფასება ხორციელდება იქედან გამომდინარე, თუ როგორია:

1. ბანკის საკუთარი (მთლიანი) კაპიტალის მონაწილეობის ხარისხი მის მიერ განხორციელებულ ოპერაციებში;

2. ლიკვიდობის დონე;

3. საკრედიტო დაბანდების მოცულობა ან მასშტაბები მაღალი რისკის მქონე ოპერაციებში. ამასთან, ბანკის მდგრადობა დამოკიდებულია:

1. კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე ტენდენციაზე;

2. ქვეყნის კრედიტუნარიანობაზე, საკრედიტო ორგანიზაციის რეიტინგზე;

3. სავალუტო კურსებისა და ეკონომიკური ინდექსების მერყეობაზე;

4. სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციებზე. ბანკების მდგრადობაზე უშუალოდ ზემოქმედებას ახდენს საკრედიტო ორგანიზაციების არგადახდების მულტიპლიკაციის მექანიზმი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკის მდგრადობის შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს მაკროეკონომიკური ტენდენციებისა და სისტემური

საბანკო რისკების ანალიზს. საზედამხედველო ორგანოების და სარეიტინგო სააგენტოების პრაქტიკაში დიდი ხანია გამოიყენება ბანკის მდგრადობის და საიმედოობის შეფასების სხვადასხვა მეთოდიკა. მეთოდიკებს შორის ყველაზე ცნობილი არის CAMELS-ის რეიტინგი, რომელიც წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტების სტანდარტიზირებულ შეფასების სისტემას, რომელიც ეფუძნება კაპიტალის ადექვატურობას (C), აქტივების ხარისხს (A), მენეჯმენტს (M), ოპერაციების შემოსავლიანობის ხარისხს და დონეს (E), ლიკვიდობას/ლიკვიდურობას (L) და მგრძობელობა საბაზრო რისკისამდი (S). გაანგარიშება შეიძლება ჩაიწეროს აღნიშნული ფორმულით.

$CAR_{კარ} = C_{კაპიტალი} / (T1 + T2) / R$ რისკი – a შეწონილი აქტივი სადაც:

CAR-კაპიტალის ადექვატურობა,

C-კაპიტალი,

T1 – ძირთადი კაპიტალი

T2- დამატებითი (მეორადი) კაპიტალი,

R-რისკი,

a-შეწონილი აქტივი.

საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ 1988 წელს მიღებული იქნა დოკუმენტი, რომლის მიხედვით დადგინდა კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის გაანგარიშების მეთოდიკა. ამ მეთოდიკის შესაბამისად, კაპიტალის შემადგენლები იყოფა ორ ჯგუფად: პირველადი და მეორადი. პირველად კაპიტალში შედის საწესდებო კაპიტალი, გამოყენებული რეზერვები, გაუნაწილებელი მოგება, დამატებით განაღდებული კაპიტალი და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი სხვა რეზერვები. ხოლო მეორად კაპიტალში შედის რეზერვი, კერძოდ, დაფარული რეზერვი; აქტივების გადაფასების რეზერვი და სხვა.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, ისე, რომ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში არ მოვიდეს ეროვნული ბანკის ძირითადი მანდატის, ფასების სტაბილურობის, შესრულებასთან. ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ფინანსური სისტემის მიერ ეკონომიკის გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. ამისათვის საჭიროა ფინანსური შუამავლობის და საბაზრო ინფრასტრუქტურის (საგადახდო სისტემების) ეფექტიანი ფუნქციონირება, ფინანსური სისტემის მდგრადობა შოკების მიმართ და სისტემური რისკების შემცირება. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია მაკროპრუდენციულ პოლიტიკის განხორციელება. ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი განიხილავს ფინანსური სტაბილურობის საკითხებს და იღებს გადაწყვეტილებას მაკროპრუდენციულ პოლიტიკის შესახებ. აღნიშნული გულისხმობს სისტემური რისკების გამოვლენას, შეფასებას, მუდმივ მონიტორინგსა და ამ რისკების შემცირების მიზნით საპასუხო ღონისძიებების შემუშავებას. მაკროპრუდენციული პოლიტიკის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, 2018 წლიდან ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი მუშაობის ახალ ფორმატზე გადავიდა. ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად გამოიყენება კაპიტალის კონტრცკლური ბუფერი. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. ბუფერის კონტრცკლურობა ხელს უწყობს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად მიზანს, შეამციროს ფინანსური სტაბილურობის სისტემური რისკები. უარყოფითი შოკების დროს კონტრცკლური ბუფერი უნდა დაეხმაროს ფინანსურ სისტემას, რომ მკვეთრად არ შეიზღუდოს ეკონომიკის დაკრედიტება და ამით დამატებით არ გაუარესდეს როგორც ფინანსური სექტორის, ისე მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობა. კაპიტალის კონტრცკლური ბუფერის დადგენისას გაითვალისწინება ისეთი ფაქტორების ანალიზი, როგორებიცაა

სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის შესაბამისი ინდიკატორები, საკრედიტო ტენდენციები, ფინანსური სექტორის ციკლური პოზიციის სხვა. მაჩვენებლები, ქვეყნის შიდა და საგარეო მაკროფინანსური გარემოს მახასიათებლები და სხვა. გარდა კონტრციკლური ბუფერისა მაკროპრუდენციული პოლიტიკის გასატარებლად საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს ასევე კაპიტალის სხვა ბუფერებსაც, რომლებიც დანერგილია ბაზელ III-ის ჩარჩოსთან დაახლოების ფარგლებში. მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტებია, ასევე, სესხის მომსახურებისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები, სექტორული რისკის წონები და სხვა ინსტრუმენტები. 2018 წლის განმავლობაში, საკრედიტო პორტფელი მაღალი ტემპით განაგრძობდა ზრდას. მაღალი საკრედიტო ზრდის ფონზე, სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობა გრძელვადიან ტრენდს აჭარბებდა, რაც მნიშვნელოვანწილად შინამეურნეობებზე გაცემული სესხებით იყო განპირობებული. დაკრედიტების ზრდის აღნიშნული ტენდენცია კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის გააქტიურების საჭიროებაზე მიუთითებდა. თუმცა, კომიტეტმა მიიჩნია რომ ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს და მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების ლიმიტების შემოღება, რომელიც 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, საკრედიტო ზრდას საშუალოვადიან პერიოდში მდგრად დონემდე დაიყვანს. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს დანერგვა უზრუნველყოფს ფინანსური სტაბილურობის რისკების შემცირებას და მას დადებითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე. აღნიშნული რეგულაცია შეამცირებს როგორც ჭარბ საკრედიტო ტვირთს, ისე გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს, რაც საშუალოვადიან პერიოდში ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას. აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დანერგვა ასევე შეესაბამება ევროდირექტივების მოთხოვნას. ბოლო წლებში მსგავსი რეგულაცია ამოქმედდა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ესტონეთი, უნგრეთი, შვედეთი, დანია, ლიეტუვა, ჩეხეთი.

თავი II ბაზელის კომიტეტის საერთაშორისო სტანდარტები და მათი გამოყენება საქართველოს საბანკო სფეროში

ბაზელის კომიტეტი აყალიბებს საბანკო ზედამხედველობის საერთო სტანდარტებსა და რეკომენდაციებს მათ შესასრულებლად. რაც შეეხება G10-ს, ეს არის ქვეყნების ჯგუფი, რომელმაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გენერალურ შეთანხმებას მოაწერა ხელი.

თავისი საქმიანობის არასრული 4 ათეული წლის განმავლობაში, ამ კომიტეტმა საბანკო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებთან დაკავშირებით ათობით დოკუმენტი გამოსცა, რომელთა შორის ზედამხედველობის ორგანიზების საერთო, კაპიტალის საკმარისობის, სხვადასხვა სახეობის რისკების, საკრედიტო-სადეპოზიტო ორგანიზაციების კორპორატიული მართვის საკითხები არის შესული. კომიტეტის საქმიანობის საკვანძო მიმართულება – ბანკებისთვის კაპიტალის საკმარისობის ნორმების განსაზღვრაა. კომიტეტის ყველა დოკუმენტი ძალიან მარტივი პროპორციის ირგვლივ ტრიალებს: საკუთარი კაპიტალი გაყოფილი ბანკის აქტივებზე უდრის კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტს.

2.1 ბაზელის კომიტეტის სტანდარტების ძირითადი პრინციპები

გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა მსოფლიო საბანკო სექტორის რეფორმისათვის სერიოზული საფუძველი შექმნა. მაშინ ნათელი გახდა, რომ ბანკებს სერიოზული პრობლემები გაუჩნდათ ლიკვიდურობასთან და კაპიტალთან დაკავშირებით. “ბაზელი-3” მსოფლიო საბანკო სექტორის ერთ-ერთი ყველაზე რთული და კომპლექსური რეფორმაა. ფაქტიურად, ამ დოკუმენტს ორი მიზნის შესრულება დაეკისრა: ამალდეს საბანკო სექტორის მდგრადობა ბანკების კაპიტალისა და ლიკვიდურობის მიმართ მოთხოვნების გაზრდით.

ასევე უნდა შემცირდეს საბანკო სექტორის პრობლემების რეალურ ეკონომიკაზე გადაცემის რისკები. “ბაზელი-3”-ის ახალმა წესებმა ახალი მოთხოვნები ბანკების მოცულობასთან, ხარისხთან და ლიკვიდურობასთან დაკავშირებით დაადგინა. პირველი დონის კაპიტალისადმი მოთხოვნის ახალი წესების მიხედვით, ეს მაჩვენებელი 2%-დან 4,5%-მდე უნდა გაიზარდოს. ბანკებმა რეზერვში ასევე უნდა გადადონ საკუთარი კაპიტალის 2,5%. კაპიტალის მიმართ საერთო მოთხოვნები 7%-ს შეადგენს. მოთხოვნები მინიმალური ერთობლივი კაპიტალის მიმართ 8%-დან 10,5%-მდე უნდა გაიზარდოს.

ამასთან, გამკაცრდა მოთხოვნები კაპიტალის ხარისხის მიმართ:

მარეგულირებელი არ გაითვალისწინებს იმ კომპონენტებს, რომელთა გამოყენებაც შეუძლებელი იქნება დანაკარგების (ზარალის) დასაფარად.

კაპიტალის მაჩვენებელი გამოითვლება კაპიტალის შეფარდებით რისკთან გათანაბრებულ აქტივებთან. მოდელის საფუძველად აღებულია იმ აქტივების მაჩვენებელი, რომელიც რისკების გათვალისწინებით არის შეფასებული.

ასევე შემოღებულია შეზღუდვები ბანკებისათვის სავალო დატვირთვაზე. ბანკებს ბალანსზე უნდა ჰქონდეთ მაღალლიკვიდური აქტივები საიმისოდ, რომ ბაზრების კონიუნქტურის მიუხედავად, საქმიანობის გაგრძელება 30 დღის განმავლობაში

შეძლონ. ბანკებს “ბაზელი 3” ის მიღებისგან ნეგატიური ეფექტის შემცირება რამდენიმე შესაძლო სტრატეგიის გამოყენებით შეუძლიათ: ჰეჯირებისა და ბალანსების სტრატეგიის, ასევე ორგანიზაციის სტრუქტურის, ან ბიზნეს-მოდელის შეცვლის მეშვეობით.

ახალი რეგულირება საბანკო სექტორის მოდელსაც შეცვლის. შემცირდება ბანკების მოგება ფინანსირების ღირებულებისა და კაპიტალისადმი მოთხოვნების გაზრდის გამო. მცირე ბანკებმა შესაძლოა ზეწოლას ვერ გაუძლონ. ბაზრები იმის გამო დატოვონ, რომ ვეღარ შეასრულებენ ახალ მოთხოვნებს კაპიტალის მოცულობასა და ხარისხთან დაკავშირებით. მკვეთრად შემცირდება ბანკებისთვის ხელმისაწვდომი ბიზნეს-მოდელების რაოდენობა და სახეობები. საბანკო სექტორი უფრო ერთსახოვანი გახდება.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობისა და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მიმართულებით რეგულირების გაზრდასთან დაკავშირებით, საბანკო ჯგუფებმა შესაძლოა რეორგანიზაცია დაიწყო – დიდმა ბანკებმა პატარა საფინანსო ინსტიტუტები შემოიერთონ. უარეს შემთხვევაში, საბანკო სექტორი `ნახტომს` ერთბაშად 100 წლით უკან გააკეთებს: კონკურენცია იქნება ძალიან დაბალი, ხოლო ფინანსური ინოვაციები – შეზღუდული. ლიკვიდურობის მიმართ დაწესებული ახალი მოთხოვნების გამო, ბანკები იძულებულნი გახდებიან ხანგრძლივადიანი წყაროები მოიძიონ მოკლევადიანის სანაცვლოდ.

მოთხოვნებზე ცვლილებები ბაზრებზე ფასების ცვლილებაზე მოახდენს გავლენას. “ბაზელი3”-ის წესები ცალკეული ბანკების გაკოტრების რისკს, ასევე საფინანსო ინსტიტუტების ერთმანეთისგან დამოკიდებულებას შეამცირებს. იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყნები განსხვავებულად გაიგებენ ახალი წესების შინაარსს და გამოიყენებენ ამ დოკუმენტს, ზიანი მიადგება გლობალური საფინანსო სისტემის სტაბილურობას, შეიქნება რეგულირების სხვადასხვა სახეობები.

“ბაზელი-3”-ის წესები აამაღლებს საბანკო სისტემის სიმყარესა და სტაბილურობას, მაგრამ ამ სტაბილურობის ფასი ის იქნება, რომ გართულდება კრედიტის მიღება, ვეღარ იარსებებენ მცირე ბანკები, სამუდამოდ იქნება დავიწყებული საფინანსო ინოვაციები. “ბაზელი-3”-ის დანერგვა არც ისე მარტივად მიმდინარეობს, რადგანაც “დიდი ოცეულის” ქვეყნებში საბანკო სისტემის განვითარებისა და რეგულირების განსხვავებული დონეა.

საფინანსო ინსტიტუტებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდნენ. საქართველოს ეროვნული ბანკი ორი წლით ადრე აანონსებდა საბანკო სექტორის ახალი რეგულაციების შემუშავებასა და მათი ამოქმედების თარიღს. თუმცა ეს თარიღები რამოდენიმეჯერ შეიცვალა და გადავადდა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ამ რეგულაციების დამუშავების, დახვეწისა და დანერგვისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს უკავშირდებოდა.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, რომლის მიხედვით ბანკი სრულად უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს მთელ საფინანსო სექტორს. კერძოდ: კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორებს, აქტივების მმართველ კომპანიებს, ანგარიშვალდებულ საწარმოებს, საინვესტიციო ფონდებს, საგადასახადო სისტემის ოპერატორებს და საგადასახადო მომსახურების პროვაიდერებს, ნაწილობრივ ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებს. ამ ცვლილებათა განხორციელების მთავარი მიზანია სექტორის ფინანსური მდგომარეობის, გამჭვირვალობის ხელსეწყობისა და კორპორაციული მართვის კულტურის ამაღლება.

სიახლეებს შემდეგი რიგი შეეხება კომერციული ბანკების უსაფრთო ფუნქციონირებას. ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპების“ შესაბამისად, ბაზელ 3-ის ფარგლებში, კომერციული ბანკების საზემდამხედველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესების

მიზნით შემუშავდა „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება“ (ცვლილება), „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი“, „სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე“, „კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრა“. ასევე, პილარ 2-ის ფარგლებში კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის დამატებითი ბუფერი რისკების შეფასების საერთო პროგრამის (General Risk Assessment Program- GRAPE) მიხედვით და სხვა. ეს მნიშვნელოვანი და საგრძნობი სიახლეები ბანკებისგან მოითხოვს კაპიტალის ადეკვატურობის უფრო მაღალ კოეფიციენტს ან შემოსავლიანი აქტივების ზრდის შეზღუდვას, რაც ბანკების აქტივობის შენელებას და მოგებიანობის შემცირებას გამოიწვევს.

მნიშვნელოვანია, რომ მსესხებლის გადამხდელ უნარიანობის შეფასების მოთხოვნა ასევე განსაზღვრულია ევროკავშირში მოქმედი იმ დირექტივით (მომხმარებელთა საკრედიტო ბანკების საკრედიტო შეთანხმების 2008/48/EC დირექტივა), რომელიც, ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ 2019 წლის სექტემბრამდე უნდა დანერგოს.

ამ დებულების მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება. რეგულაცია აწესებს სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების მაქსიმალურ საზღვრებს, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებთან და ითვალისწინებს საქართველოს საბანკო სექტორის მახასიათებლებს.

ბაზელის კომიტეტის შეთანხმებების მიხედვით მოქმედების შედეგია ის, რომ საბოლოოდ შემცირდა ალბათობა მომავალში ბანკის გაკოტრებისა; სამომავლო საბანკო კანონმდებლობის ევროპულ ვერსიაში კიდევ ერთხელ მოისაზრება მთელი რიგი "მზარდი" ცვლილებები. ეს ცვლილებები აწესებს კონკრეტულ მარეგულირებელ

მოთხოვნებს, რომლებმაც უნდა მოახდინონ ბანკების მხრიდან მეტად გონივრული ქცევის სტიმულაცია.

მოკლედ რომ ვთქვათ, შეთავაზებული რეგულაციები ზრდის მინიმალური კაპიტალის ხარისხს და რაოდენობას; აწესებს ახალ ლიკვიდურობის ნორმებს, ლევერეჯის კოეფიციენტს, ციკლის საწინააღმდეგო რეზერვების ნორმებს, განსაზღვრავს სისტემურად მნიშვნელოვან ფინანსურ ინსტიტუტებს, ახდენს კონტრაგენტის საკრედიტო რისკისა და საბანკო ანგარიშგების განმარტებების შესწორებას. რეგულაციები უზრუნველყოფს წინა პერიოდის შესწორებების იმგვარ მოდიფიკაციას, რომ კომერციულმა ბანკებმა ზედმეტი რისკისაგან მაქსიმალურად დაიცვან თავი.

ბაზელის კომიტეტის რეგულაციები ევროპის ბანკებისთვის გულისხმობს ორ ძირითად ობიექტს, რომლებიც პარალელურად უნდა მიმდინარეობდნენ:

- 1) ბანკების გაკოტრების ალბათობის შემცირება;
- 2) მოსალოდნელი გაკოტრების მიერ გამოწვეული სოციალური დანახარჯების მინიმიზაცია

ამ ორ ობიექტს შორის მყარი კავშირია, თუ შემცირდება ბანკების გაკოტრების საშიშროება, შესაბამისად შემცირდება ის დანახარჯები, რომლებიც შეიძლებოდა მას გამოეწვია. რეგულაციების ოპტიმალური ინტენსივობა გაურკვეველია, მანამ, სანამ ცნობილი გახდება რეზოლუციის სტრუქტურების შეთანხმებები. ამ ორი რეგულაციის მთავარი საფრთხე გამოიხატება იმაში, რომ შეიძლება მეტი ყურადღება დაეთმოს მეორე ობიექტს, ანუ ხარჯების შემცირებას და ნაკლები ყურადღება მიექცეს ბანკების გაკოტრებას. აქედან გამომდინარე საჭიროა არა მხოლოდ "მზარდი" ცვლილებები, არამედ სტრატეგიული გეგმაც.

სტრატეგიული მიღწევებიდან გამომდინარე, გაკოტრების პირას მყოფი, ან გაკოტრებული ბანკების გამოცდილების გამოყენებით, მეტად მახვილდება ყურადღება სოციალური დანახარჯების შემცირებაზე. ეჭვგარეშეა, რომ

წარმატებისათვის, აუცილებელია ბიზნეს მოდელებისა და ბანკების ადექვატური გაგება, განმარტება, მათი სწორი რეგულაცია და მონიტორინგი. სხვადასხვა სტრუქტურულმა პრე-კრიზისის სახასიათო გარემომ დაამტკიცა, რომ იგი იყო არამდგრადი და თავადვე გახდა კრიზისის გამომწვევი მიზეზი. მთავარი ნაკლი იყო ის, რომ კარგ დროში მოგება პრივატიზებული იყო; ხოლო ცუდ დროში ზარალი იყო სოციალიზებული, მთელი დატვირთვა მოდიოდა გადასახადების გადამხდელებზე.

მარეგულირებელი სტრატეგია პირობითად ვარაუდობს, რომ პრობლემა უნდა იყოს გადამისამართებული, მაგ ზედმეტი რისკის აღება ბანკების მიერ, არის ეგზოგენური ფაქტორი რეგულირების პროცესში.

ენდოგენური პრობლემა შესაძლებელია მიჩნეული იყოს ბაზელის კაპიტალის შესახებ შეთანხმების კაპიტალის კონტექსტში. ბაზელის კომიტეტის შეთანხმების ერთ-ერთი ინტერპრეტაცია გულისხმობს იმ ქმედებების განხორციელებას, რომელიც წინა წაწევს მოდელს სრულყოფილებისაკენ. ეს ქმედებები კი მოიცავს წარსულის შეცდომების გამოსწორებას და მეტად რთული და შესაბამისა უფრო ძვირი რეგულაციების განხორციელებას. გრძელვადიან პერიოდში ეს გაზრდილი ხარჯები გადაწონის კიდევ გაკოტრების დანახარჯებს.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი შეიქმნა 1974 წელს ცენტრალური ბანკის დიდი ათეულის ქვეყნების წარმომადგენლების მიერ. ის უზრუნველყოფს რეგულარულ თანამშრომლობას საბანკო ზედამხედველობის საკითხებთან დაკავშირებით.

ბაზელ I არის მოლაპარაკებების რაუნდი მსოფლიოს ქვეყნების ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებს შორის, რომელიც 1988 წელს ბაზელში (შვეიცარია) გაიმართა BCBS-ის მიერ და გამოქვეყნდა ბანკებისთვის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა. ის დიდი ათეულის ქვეყნებში კანონით იქნა შემოღებული 1992 წელს.

ბაზელ II რიგით მეორე შეთანხმებაა, რომელიც საბანკო კანონებისა და რეგულაციებისთვის რეკომენდაციებს წარმოადგენს. ის 2004 წლის ივნისში

გამოქვეყნდა და გულისხმობდა საბანკო მარეგულირებლებისთვის საერთაშორისო სტანდარტის შექმნას, თუ კაპიტალის რა ოდენობაა საჭირო ფინანსური და ოპერაციული რისკისგან თავის დასაცავად. ზოგადად ეს წესები ნიშნავდა, რომ რაც უფრო დიდია რისკი, რომელსაც ბანკი თავის თავზე იღებს, მით მეტი ოდენობის კაპიტალს საჭიროებს ბანკი გადახდისუნარიანობის და საერთო ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. 2008 წლის ფინანსური კრიზისის პირობებში, რომლის დროსაც საბანკო კრიზისი ძირითადად საკრედიტო დეფოლტის სვოპებისა და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების ბაზრებმა და შესაბამისმა დერივატივებმა გამოიწვია, ბაზელ II-ის შესრულება რთული იყო.⁹

ბაზელ II იყენებდა სამ სვეტს:

1. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები; 2. სამეთვალყურეო მიმოხილვა, 3. საბაზრო დისციპლინა.

პირველ სვეტში განიხილებოდა მხოლოდ 3 სახის რისკი: საკრედიტო, ოპერაციული და საბაზრო. სხვა სახის რისკები უგულებელყოფილი იყო;

მეორე არის პირველი სვეტის მარეგულირებელი ინსტრუმენტების ერთობლიობა;

მესამე სვეტი კი დამატებით რეგულაციებს წარმოადგენს, რომელიც ბაზრის მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლას გულისხმობს.

ბაზელ III განვითარდა ფინანსური კრიზისის საპასუხოდ, რომელიც არ ცვლის არც ბაზელ I-ს და არც ბაზელ II-ს, მაგრამ ფოკუსირდება ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებზე. ის შეთანხმებულ იქნა 2010-2011 წწ.-ში და დაგეგმილი იყო მისი წარდგენა 2013-2015 წლებში, მაგრამ მისი მოქმედების ვადა 2018 წლის 31 მარტამდე გაგრძელდა. ბაზელ III-ის მიზანია ბანკის კაპიტალზე მოთხოვნის გაძლიერება ბანკის ლიკვიდობის გაზრდით და ბანკის ლევერეჯის შემცირებით.

⁹ Basel Committee on Banking Supervision. Amendment to the Capital Accord to Incorporate Market Risks; 1996.

ბაზელ III-ის ძირითადი პრინციპები:

1. კაპიტალის მოთხოვნა

ბაზელ III-ის თავდაპირველი წესი 2010 წლის მიხედვით, ბანკებისგან მოითხოვდა საერთო კაპიტალის 4.5%-ს და პირველი რიგის კაპიტალის 6%-ს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისთვის. ბაზელ III-მა წარმოადგინა „დამატებითი კაპიტალის ბუფერი 2.5% ოდენობით და „დისკრეციული counter-cyclical ბუფერი“

2. ლევერეჯის კოეფიციენტი

ბაზელ III-მა გამოაცხადა მინიმალური ლევერეჯის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება პირველი რიგის კაპიტალის ფარდობით, ბანკის საშუალო მთლიან კონსოლიდირებულ აქტივებთან. ბანკებს უნდა შეენარჩუნებინათ 3%-ზე მეტი ლევერეჯის კოეფიციენტი. 2013 წლის ივლისში ამერიკის ფედერალურმა ბანკმა მინიმალური მაჩვენებელი 6%-ის დონეზე დაადგინა სისტემური მნიშვნელობის (SIFI) ბანკებისთვის.

3. ლიკვიდურობის მოთხოვნები

ბაზელ III-მა წარმოადგინა ლიკვიდურობის ორი კოეფიციენტი. პირველი: ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი მიმართული იყო ბანკებისგან მოეთხოვა საკმარისი ოდენობის მაღალ-ლიკვიდური აქტივები 30 დღის განმავლობაში მთლიანი წმინდა გადინების დასაფარად; მეორე: წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი მოითხოვდა შესაძლებელი რაოდენობის სტაბილურ დაფინანსებას გადაეჭარბებინა მოთხოვნილი ოდენობა.

ბაზელის კომიტეტმა ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს სრულყოფის მიზნით, ზემოხსენებულ პრინციპებთან ერთად, შეიმუშავა ორი ახალი საზედამხედველო ნორმატივი, რომლებიც მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე განსხვავებულია და ორივე ერთად უზრუნველყოფს ლიკვიდობის რისკის უფრო კომპლექსურ და სრულყოფილ შეფასებას. მათ შორის განსხვავება გამომდინარეობს დაკვირვების იმ ჰორიზონტიდან, რა პერიოდის განმავლობაშიც ეს მაჩვენებლები ზომავენ ბანკის ლიკვიდობის დონეს.

მოკლევადიანი ლიკვიდობის პოზიციის შეფასებისათვის გამოიყენება **ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (Liquidity Coverage Ratio)**, რომელიც ადგენს არის თუ არა საკმარისი ფინანსური ინსტიტუტის მაღალლიკვიდური აქტივების მარაგი (High Quality Liquid Assets) რომ დაფაროს ბანკის წმინდა ფულადი გადინება 30 დღიანი სტრესული სცენარის პირობებში. მეორე მაჩვენებელი, **წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (Net Stable Funding Ratio)** კი განსაზღვრავს ბანკის უნარს დააფინანსოს აქტივებში ინვესტირების პროცესი და გააგრძელოს სტაბილური საქმიანობა გრძელვადიან პერიოდში. ამ შემთხვევაში მაჩვენებელი 1 წლიან პერიოდს მოიცავს.¹⁰

ბაზელის კომიტეტმა შექმნა ამ კოეფიციენტების გამოთვლის ზოგადი მეთოდოლოგია, თუმცა ცალკეული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით, ეროვნული კოეფიციენტები შეიძლება განსხვავდებოდეს საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკისაგან. ამის მიზანია მოხდეს იმ მნიშვნელოვანი რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება, რომელიც თან ახლავს კონკრეტული ქვეყნის ფინანსურ სექტორს და რომლის მიმართაც ის განსაკუთრებით სენსიტიურია.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ ბაზელის კომიტეტი ადგენს LCR-ის მოთხოვნის მინიმალურ დონეს (100%). თუმცა ქვეყნების ცენტრალური ბანკების დისკრეციით შესაძლებელია დაწესდეს განსხვავებული ლიმიტები. ასევე შეიძლება შეიცვალოს LCR-ის დათვლისას გამოყენებული დაშვებები, რათა კოეფიციენტმა სრულყოფილად ასახოს ბანკის წინაშე არსებული რისკები.

იმის გამო, რომ ერთი მაჩვენებელი სრულად ვერ მოახდენს ბანკის წინაშე არსებული ლიკვიდობის რისკის იდენტიფიკაციას, შეიქმნა დამატებითი მაჩვენებლები, რომელთაც არ ექნებათ მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნა, თუმცა მონიტორინგის ინსტრუმენტების როლში მოახდენენ LCR-თან ერთად რისკების შეფასებას განსხვავებული ასპექტებით.

¹⁰ Basel Committee on Banking Supervision. Amendment to the Capital Accord to Incorporate Market Risks; 1996.

LCR - ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი

LCR წარმოადგენს მოკლევადიან პერიოდში ლიკვიდობის პოზიციის შეფასების საშუალებას. ის აფასებს ბანკის უნარს, გაუძლოს 30 დღიან სტრესულ სიტუაციას მის ხელთ არსებული თავისუფალი ლიკვიდური აქტივების მარაგით და გადაფაროს წმინდა ფულადი გადინება ამ პერიოდის განმავლობაში.

ამ შემთხვევაში გარკვეული გონივრული ჩარჩოს ფარგლებში შერჩეულია 30 დღიანი პერიოდი, რადგან მიიჩნევა, რომ თუ ბანკი ამ დროის განმავლობაში სტრესთან გამკლავებას, 30 დღის შემდეგ ბანკის მენეჯმენტი ან ცენტრალური ბანკი და ზედამხედველები მოახერხებენ მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას და ლიკვიდობის შოკის დაძლევას.

მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნის ფარგლებში მიღებული LCR კოეფიციენტის 100% იანი დონე. თუმცა, ფინანსური სტრესის პერიოდში, ზედამხედველებთან შეთანხმებით შესაძლებელია მაჩვენებლის შემცირება 100% ქვევით.

მაჩვენებლის მოულოდნელი შემცირების არიდების მიზნით, როგორც ბანკმა ისე ზედამხედველმა უნდა მოახდინონ შესაძლო სტრესული სცენარის შედეგების პროგნოზირება. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მაჩვენებლის შემცირება მინიმალური ლიმიტის ქვევით, ბანკმა უნდა წარმოადგინოს ანგარიში ამ ფაქტთან დაკავშირებით, სადაც უნდა აისახოს:

ა) მიზეზები, რამაც გამოიწვია კოეფიციენტის შემცირება. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ლიკვიდური აქტივების მარაგის მოულოდნელი შემცირებით ან მიმდინარე ვალდებულებების არაგეგმური ზრდით, რამაც წარმოქმნა დამატებით ლიკვიდობის საჭიროება და კოეფიციენტი 100%-ზე დაბლა დაეცა;

ბ) უნდა განისაზღვროს გამომწვევი ფაქტორების წარმომავლობა. მნიშვნელოვანია დადგინდეს ეს პრობლემები მხოლოდ კონკრეტული ბანკისთვის არის დამახასიათებელი, თუ ზოგადად სისტემის მასშტაბით მოქმედებს;

გ) ბანკის ზოგადი რისკის პროფილი, სადაც შეფასებული იქნება როგორც ბანკის მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების რისკიანობის დონე, ასევე ამ რისკის მოტივაციის მიზნით გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი;

დ) კოეფიციენტის ლიმიტის ფარგლებში დაბრუნების მიზნით დაგეგმილი პოტენციური მოქმედებების განსაზღვრა;

ე) LCR-ის შემცირების დონე, სტრესის მოსალოდნელი პერიოდი და მისი პერიოდულად განმეორების ალბათობა;

ვ) დაფინანსების ალტერნატიული წყაროების დადგენა, საიდანაც მოკლევადიან პერიოდში, მოთხოვნისთანავე შესაძლებელი იქნება დამატებით ლიკვიდური სახსრების მოძიება, რათა მოხდეს მიმდინარე ვალდებულებების დროული დაფარვა.

კოეფიციენტის შემცირების მიზეზების ანალიზისა და შესაძლო შედეგების დადგენის შემდეგ, ზედამხედველი განსაზღვრავს სტრესის სირთულის ხარისხს და შესაბამისად ნებას რთავს ბანკს შეამციროს მაჩვენებელი ლიმიტზე ქვემოთ. ამასთანავე, დგინდება შესაძლო საჭიროება ცენტრალური ბანკიდან დახმარების მიღების თვალსაზრისით.¹¹

LCR-ის შემადგენლობა

კოეფიციენტი შედგება ორი ნაწილისგან, მაღალლიკვიდური აქტივებისა (HQLA) და 30 დღიანი წმინდა ფულადი გადინებისაგან და შემდეგი სახე გააჩნია:

$$\frac{HQLA}{30 \text{ დღიანი წმინდა ფულადი გადინება}} \geq 100\%$$

ლიკვიდური აქტივები (HQLA):

HQLA წარმოადგენს საზედამხედველო და სამართლებრივი თვალსაზრისით თავისუფალი აქტივებისაგან, რომლებიც არაა დაჯავშნილი და შესაძლებელია მათი გამოყენება საჭიროებისამებრ. ამასთან, მნიშვნელოვანია მაღალი დონის ლიკვიდობის თვისებაც, რაც გულისხმობს ამ აქტივების შესაძლებლობას დაუყოვნებლივ გარდაიქმნას ნაღდ ფულად, მცირე დანაკარგებით ან დანაკარგების გარეშე. ამასთან,

¹¹ Basel Committee on Banking Supervision. International Convergence of Capital Measurement and Capital Standards: Revised Framework-Comprehensive Version; 2006.

აქტივი ლიკვიდურად ჩაითვლება, თუ არსებობს აქტიური ბაზარი მისი მეორედ გადაყიდვისა და ნაღდი ფულის მისაღებად.

HQLA მასში შემავალი აქტივების ლიკვიდობის ხარისხის შესაბამისად იყოფა რამდენიმე დონედ: პირველი დონის ლიკვიდური აქტივები, მეორე (ა) დონის ლიკვიდური აქტივები და მეორე (ბ) დონის ლიკვიდური აქტივები. ამ შემთხვევაში შედარებით მაღალლიკვიდური აქტივები კოეფიციენტის გაანგარიშებაში შედის მთლიანი საბალანსო ღირებულებით, ხოლო შედარებით დაბალი ლიკვიდობის მქონე აქტივებზე დაწესებულია გარკვეული ლიმიტები.

პირველი დონის ლიკვიდური აქტივები:

ეს ტიპი მოიცავს ყველაზე მაღალი დონის ლიკვიდურ აქტივებს, რომლებიც შესაძლებელია გამოვიყენოთ შეუზღუდავი მოცულობით, ყოველგვარი ლიმიტის გარეშე. პირველი დონის ლიკვიდური აქტივები ბაზელი სტანდარტებით მოიცავს შემდეგი ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტებს:

- ა) ნაღდი ფული;
- ბ) ცენტრალურ ბანკში განთავსებული რეზერვები იმ მოცულობით, რა თანხის გამოყენების უფლებასაც მისცემს ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკს;
- გ) სამთავრობო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც იწონება 0%-იანი საკრედიტო რისკის რეიტინგით და ივაჭრება აქტიურ ბაზარზე;
- დ) ადგილობრივ ვალუტაში ნომინირებული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ იწონება 0%-იანი საკრედიტო რისკის რეიტინგით;
- ე) უცხოურ ვალუტაში გამოშვებული სამთავრობო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ იწონება 0%-იანი საკრედიტო რისკის რეიტინგით. თუმცა მისი მოცულობა შეზღუდულია იმავე ვალუტაში წმინდა გადინების ლიმიტის ფარგლებში.

მეორე დონის ლიკვიდური აქტივები:

ლიკვიდური აქტივების ეს დონე 2 ტიპის აქტივებს მოიცავს. შედარებით ლიკვიდური აქტივები 2(ა) დონეზე ერთიანდება. ხოლო დანარჩენი ნაწილი 2(ბ)-ში.

2(ა) დონის ლიკვიდური აქტივები მოიცავს შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) კორპორატიული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გამოშვებული მინიმუმ AA- რეიტინგის მქონე ორგანიზაციების მიერ;

ბ) სამთავრობო ფასიანი ქაღალდები, რომელიც იწონება 20%-იანი საკრედიტო რისკის რეიტინგით და გამოშვებულია/გარანტირებულია სხვა ქვეყნის მთავრობის ან ცენტრალური ბანკის მიერ.

ამ დონის ლიკვიდურ აქტივებს 15%-იანი დისკონტი მიეყენება.

2(ბ) დონის პორტფელი კი მოიცავს შემდეგი ტიპის აქტივებს:

ა) უძრავი ქონების გარანტიით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, რომლის ემიტენტიც წარმოადგენს მაღალი რეიტინგის მქონე ორგანიზაციას (AA ან მეტი) და ივაჭრება აქტიურ ბაზრებზე, რაც ზრდის მის ლიკვიდობის დონეს. ამასთან, ამ ტიპის აქტივები უნდა აკმაყოფილებდნენ სტაბილური ფასის პირობას და ყოველთვიური ფასის მერყეობა მისი ღირებულების 20%-ს არ უნდა აჭარბებდეს. ამ ტიპის აქტივებს წაეყენება 25%-იანი დისკონტი;

ბ) კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელთაც საინვესტიციო რეიტინგი გააჩნიათ (A+ > < BBB-), ივაჭრებიან ფართო ბაზრებზე და წინა პუნქტში შესული ინსტრუმენტების მსგავსად მათი ფასის ყოველთვიური ისტორიული მერყეობა 20%-ს არ აჭარბებს. ამ ტიპის აქტივები, კოეფიციენტის მიზნებისათვის მთლიანი ღირებულების მხოლოდ 50%-ით გაითვალისწინება;

გ) არასაფინანსო ორგანიზაციების აქციები, რომლებიც განთავსებულია მნიშვნელოვან საფონდო ბირჟებზე, აქტიურად ივაჭრება და არ ხასიათდება 40%-ზე მაღალი ფასის მერყეობით. ამ ტიპის აქტივებს წინა პუნქტში შემავალი ინსტრუმენტების მსგავსად 50%-იანი დისკონტის განაკვეთი წაეყენება.

დისკონტის ინდივიდუალური განკვეთების შემდეგ, ჯამური მეორე დონის ლიკვიდური აქტივების პორტფელი ექვემდებარება ზემოდან შეზღუდვას და არ უნდა აჭარბებდეს მთლიანი ლიკვიდური აქტივები 40%-ს.

ბაზელ III-ის და LCR სტილის დანერგვის გამოწვევები და გამოცდილებები

ზოგიერთმა ფირმამ გამოსცა LCR ტიპის მოთხოვნების დანერგვა ლოკალურ იურისდიქციაში, რომელიც უკვე გადავიდა ახალი სტილის მოთხოვნებზე - მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში. ინგლისის FSA-მ დანერგა პირველად და ფირმები, რომლებსგანაც მოთხოვნილია მათი შესრულება, არიან ყველაზე წინ ახალი სტილის რეგულაციების ათვისებაში 71%-იანი მაჩვენებლით, რომელთაც დაასრულეს ეს პროცესი. ამის საპირისპიროდ, ამერიკის, კანადის და სხვა ქვეყნის ფირმები აცხადებენ, რომ არიან დაგეგმვის და დანერგვის გზაზე ხანგრძლივი დროის ჩარჩოთი.

მანამ, სანამ ადრეა ფირმებისთვის იმის განსაზღვრა თუ რა არის ბაზელ III-ის ლიკვიდობის წესების დანერგვის ღირებულება, სასარგებლოა თვალი გადავავლოთ ინგლისის და ამერიკის მაგალითს. ბრიტანეთში ფირმების 74% დასჭირდა 2 წელზე ნაკლები FSA რეგულაციების შესასრულებლად და უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ღირებულება 2 მილიონ ამერიკულ დოლარზე ნაკლები იყო. ამერიკას, კანადასა და სხვა ქვეყნებში კი მოელიან ხანგრძლივ პერიოდსა და შედარებით მაღალ ხარჯებს.

ზოგიერთის აზრზე დაყრდნობით, ერთ-ერთი პრობლემა არის, რომ ფინანსურ სისტემაში გამოყენებული მონაცემები მეტია და მაშინ, როცა სახაზინო მონაცემებს ქვევითი კომპონენტები აქვს, არც მიწოდების სახელშეკრულებო ნაკადის მონაცემები და შეფასებები უნდა იყოს საჭირო რეგულაციებისთვის. ერთმა რესპოდენტმა განიხილა ვალდებულებებზე გრანულარული მონაცემების სიმცირე. როგორც მან ახსნა: „ჩვენ ყოველთვის ფოკუსირებული ვიყავით აქტივებზე, ახალი წესების მიხედვით შენ უნდა აღიარო, რომ ვალდებულებები მეტად მნიშვნელოვანია, თუ ისინი კლიენტებთანაა დაკავშირებული, რომელთაც აქვთ საოპერაციო ანგარიშები და არ არსებობს ცვლადი ჩვენს სისტემაში, რომელიც ოპერაციულ ურთიერთობათა დიახ/არა-ს გადმოსცემს.“ 60% რესპოდენტებმა ბაზელ III-ის მოთხოვნების ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად ლიკვიდური აქტივების დეფინიცია გამოაცხადა

2.2 საზღვარგარეთული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება რეგულირების სფეროში

საბანკო სექტორის სტაბილურად ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკითხებში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საბანკო ზედამხედველობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საბანკო ზედამხედველობის ფუნქციები სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება. ძირითადი განსხვავებები ეხება მათ ორგანიზაციულ მოწყობას, სამართლებრივ საფუძვლებს, ზედამხედველობის ფუნქციის შესასრულებლად გამოყენებულ ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიებს.

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია სამი სახის საზედამხედველო სისტემა. პირველ სისტემას მიეკუთვნება ისეთი ქვეყნები სადაც საბანკო ზედამხედველობას მთლიანად ახორციელებს ეროვნული ბანკი (ალბანეთში, ბულგარეთში, მოლდავეთში, რუმინეთში, პოლონეთში, ბელგიაში, ხორვატიაში, სლოვენიაში, მაკედონიაში, სერბეთში, ჩეხეთში, ლიტვაში, მონტენეგროსა, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, იტალიაში, საბერძნეთში, ჩინეთში და არგენტინაში). მეორე სისტემას მიეკუთვნება ისეთი ქვეყნები სადაც საზედამხედველო ფუნქციები ნაწილდება ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის (იაპონია, ესპანეთი და კანადა).

იაპონიაში ძირითად საზედამხედველო საქმიანობას ახორციელებს ფინანსთა სამინისტრო. ის გასცემს ლიცენზიას საბანკო საქმიანობისთვის, ატარებს საკრედიტო ინსტიტუტების რეგულარულ მონიტორინგსა და შემოწმებას, ახორციელებს მაკორექტირებელ სამუშაოებს აღნიშნულ სფეროში. ეროვნული ბანკი ახორციელებს საკრედიტო ინსტიტუტების ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგსა და შემოწმებას, მაგრამ მის მიერ დაწესებული სანქციები კანონმდებლობის დარღვევისთვის შედარებით მსუბუქია.

ესპანეთში ეროვნული ბანკის როლი ზედამხედველობის კუთხით უფრო მაღალია. კანონმდებლობით მას უფლება აქვს განახორციელოს საკრედიტო ინსტიტუტების ინსპექტირება, დაარეგისტრიროს ისინი სარეგისტრაციო ორგანოში და კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში დააკისროს საჯარიმო სანქციები.

საკრედიტო დაწესებულებების შექმნის თანხმობასა და ლიცენზიას იძლევა ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო, რომელიც, თავის მხრივ, ასევე აწესებს სანქციებს სამართალდარღვევებზე. აღნიშნული სამინისტრო ნებისმიერ თავის საქმიანობას საბანკო ზედამხედველობის სფეროში უთანხმებს ეროვნულ ბანკს.

საბანკო ზედამხედველობის მესამე სახის სისტემა მოქმედებს ისეთ განვითარებულ ქვეყანებში (ავსტრია, ესტონეთი, ფინეთი, გერმანია და დანია), სადაც საზედამხედველო სისტემაში ეროვნულ ბანკთან ერთად ჩართულია სპეციალური საზედამხედველო ორგანოები.

გერმანიაში ფუნქციონირებს საფინანსო ზედამხედველობის დამოუკიდებელი ორგანო, თუმცა 2008 წლიდან აღნიშნულმა ორგანომ დაიწყო თანამშრომლობა გერმანიის ცენტრალურ ბანკთან საბანკო საფინანსო ინსტიტუტების ერთობლივი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით. 2009 წელს გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებით, საბანკო სექტორის ზედამხედველობის კონცენტრაცია მოხდა ცენტრალურ ბანკში, მისი ავტონომიურობის უზრუნველყოფასთან ერთად. ასეთ ორგანოს წარმოადგენს ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური სამმართველო (Federal Financial Supervisory Authority), რომელსაც კანონმდებლობით ძირითადი ადგილი უკავია საბანკო ზედამხედველობის განხორციელებაში. აღნიშნულ სამმართველოსა და ეროვნულ ბანკს შორის ფუნქციები ნაწილდება შემდეგი ფორმით: *ფედერალური სამმართველო* გასცემს და წყვეტს ლიცენზიას საბანკო ოპერაციების შესრულებაზე, იღებს ინფორმაციას საკრედიტო დაწესებულებებიდან მათი საქმიანობის შესახებ, ახორციელებს მონიტორინგს საბანკო კანონმდებლობის შესრულებაზე და გამოსცემს ნორმატიულ აქტებს. თუმცა, საზედამხედველო ფუნქციებს ასრულებს ეროვნული ბანკთან ერთად.

საზედამხედველო საქმიანობაში ეროვნული ბანკის მონაწილეობის ფორმები განსხვავებულია. საკრედიტო ორგანიზაციებზე ზედამხედველობას ახორციელებს თავისი ფილიალებისა და მთავარი ქვედანაყოფების საშუალებით (რაც ფედერალურ სამმართველოს არ გააჩნია). ეროვნული ბანკი იღებს ანგარიშებს საკრედიტო

ორგანიზაციებიდან, აანალიზებს და უზრუნველყოფს ფედერალურ სამმართველოს თავის რეკომენდაციებთან ერთად. ის ნორმატიული აქტები, რომლებიც შემუშავებულია ფედერალური სამმართველოს მიერ და ეხება საკრედიტო ორგანიზაციების კაპიტალისა და ლიკვიდურობის რეგულირებას, შეთანხმებული უნდა იყოს ეროვნულ ბანკთან.

ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური სამმართველოს სტრუქტურული ერთეულებია: ადმინისტრაციული საბჭო (Administrative Council); მრჩეველთა კოლეგია (Advisory Board); მომხმარებელთა საკონსულტაციო საბჭო (Consumer Advisory Council); ფინანსური სტაბილურობის კომისია (Financial Stability Commission); დაზღვევის საკონსულტაციო საბჭო (Insurance Advisory Council); ფასიანი ქაღალდების საბჭო (Securities Council); მრჩეველთა საბჭო (Advisory Council); გასაჩივრების კომიტეტი (Objections Committee). ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური სამმართველოს მართვის ორგანოა ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც ახორციელებს რეგულარულ მონიტორინგს აღნიშნული სამმართველოს მენეჯმენტზე და ეხმარება მას საზედამხედველო ფუნქციების შესრულებაში. ადმინისტრაციული საბჭო შედგება 17 წევრისგან. ქვეყნის ფინანსთა მინისტრი ნიშნავს საბჭოს 6 წევრს (მათ შორის, საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს). ხუთ წევრს ნიშნავს ქვეყნის პარლამენტი, ისინი არიან ბუნდესტაგის წევრები. სამი წევრი წარმოდგენილია სამეცნიერო აკადემიიდან და თითო წევრი წარმოდგენილია საკრედიტო ინსტიტუტებიდან, სადაზღვევო კომპანიებიდან და ქონების მართვის კომპანიებიდან.

ესტონეთში საფინანსო ინსტიტუტების ზედამხედველობა ხორციელდება ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის მიერ, რომლის საქმიანობაც დამოუკიდებელია და რეგულირდება „ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის შესახებ აქტით“ (Financial Supervision Authority Act). აღნიშნული სამსახურის მართვის ორგანოა საზედამხედველო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის ექვსი წევრი. ამ ექვსი წევრიდან აუცილებელია ორი წევრი იყოს - ფინანსთა მინისტრი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ხოლო დანარჩენ ოთხ წევრს ნიშნავს მინისტრთა კაბინეტი სამი

წლის ვადით. ფინანსური ზედამხედველობის სამსახური ანგარიშვალდებულია ქვეყნის პარლამენტისა და ეროვნული ბანკის წინაშე.

ავსტრიაში 2002 წელს ავსტრიის ეროვნულ ბანკს ჩამოერთვა საფინანსო ზედამხედველობის ფუნქცია და შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი საფინანსო ზედამხედველობის ორგანო. თუმცა, 2008 წლის ფინანსური ბაზრების ზედამხედველობის რეფორმის საფუძველზე, ავსტრიის ეროვნული ბანკი და საფინანსო ზედამხედველობის ორგანო ახორციელებენ ერთობლივ საბანკო ზედამხედველობას. სხვა საფინანსო ინსტიტუტების ზედამხედველობა დარჩა ავტონომიურ ორგანოს. „ფინანსური ბაზრის სამსახურის შესახებ აქტით“ (Financial Market Authority Act) ბანკების ზედამხედველობას ახორციელებს ფინანსური ბაზრის სამსახური (Financial Market Authority). აღნიშნული სამსახურის მართვის ორგანოებია აღმასრულებელი საბჭო და საზედამხედველო საბჭო. აღმასრულებელი საბჭოს ორ წევრს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტის წარდგინებით ხუთი წლის ვადით, ხოლო საზედამხედველო საბჭოს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და ოთხ წევრს ნიშნავს ფინანსთა მინისტრი; ორ წევრს ფედერალური ეკონომიკის პალატის (Federal Economic Chamber) წარდგინებით ირჩევს ეროვნული ასამბლეა (პარლამენტი). საზედამხედველო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 5 წელია.

ბელგია 2004 წლიდან ფინანსური სექტორის ზედამხედველობას ახორციელებდა დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანო. 2010 წელს პარლამენტის გადაწყვეტილებით, ფინანსური სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია დაუბრუნდა ცენტრალური ბანკის სტრუქტურას.

ფინეთში 2009 წლამდე არსებობდა სექტორალურად დაყოფილი ორი დამოუკიდებელი საფინანსო ზედამხედველობის ორგანო (საბანკო/საფინანსო და სადაზღვევო). დღევანდელი მდგომარეობით ერთიანი საზედამხედველო ორგანო ადმინისტრაციულად ფინეთის ეროვნული ბანკის სტრუქტურის ფარგლებშია, თუმცა, საზედამხედველო ორგანო სარგებლობს ავტონომიურობის მაღალი ხარისხით. საბანკო სექტორის ზედამხედველობა ხორციელდება ფინანსური ზედამხედველობის

სამსახურის (Financial Supervisory Authority) მიერ, რომლის საქმიანობა რეგულირდება „ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის შესახებ“ კანონით (Financial Supervision Authority Act). აღნიშნული სამსახური არის ეროვნული ბანკის შემადგენლობაში, თუმცა მისი საქმიანობა დამოუკიდებელია. მართვის ორგანოს წარმოადგენს საბჭო, რომლის რვა წევრსაც ნიშნავს საპარლამენტო ზედამხედველობის საბჭო (Parliamentary Supervisory Council) ფინანსთა მინისტრისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის წარდგინებით სამი წლის ვადით.

ირლანდიაში ცენტრალური ბანკის რესტრუქტურისა და განხორციელება 2003 წელს, რის მიხედვითაც საფინანსო ზედამხედველობა გამოეყო ცენტრალურ ბანკს. 2010 წლის გადაწყვეტილებით, ზედამხედველობის ფუნქცია დაუბრუნდა ცენტრალურ ბანკს.

ლუქსემბურგში 2008 წელს ლუქსემბურგის ცენტრალურ ბანკს მიენიჭა საფინანსო სექტორის ზედამხედველობაში ჩართულობის უფლებამოსილება, თუმცა, ამ საქმიანობას იგი ახორციელებს საფინანსო ზედამხედველობის ავტონომიურ ორგანოსთან ერთად.

დანიაში დანიის ეროვნული ბანკი საფინანსო ზედამხედველობის დამოუკიდებელ ორგანოსთან ერთად აქტიურად მონაწილეობს საფინანსო სექტორის ზედამხედველობასა და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავებაში. საბანკო საქმიანობის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის, დაზღვევისა და საპენსიო სფეროს, არასაბანკო-საფინანსო დაწესებულებების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების მიზნით შექმნილია ფინანსური საქმიანობის საბჭო (Danish Financial Business Council), რომლის ძირითადი ამოცანაა აღნიშნულ სფეროებში ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება. ფინანსური საქმიანობის საბჭო წარმოადგენს ბიზნესისა და ეკონომიკის საქმეთა სამინისტროს (Ministry for Economic and Business Affairs) ნაწილს. მისი საქმიანობა რეგულირდება „ფინანსური საქმიანობის აქტით“ (Financial Business Act). *ფინანსური საქმიანობის საბჭოს* მმართველობის ორგანოა მმართველთა კოლეგია (Board of Governors), რომელიც შედგება 8 წევრისაგან:

- კოლეგიის თავმჯდომარე იურიდიულ და ფინანსურ საკითხებში;
- თავმჯდომარის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
- ერთი წევრი, რომელიც წარმოდგენილია დანიის ეროვნული ბანკის მიერ;
- ერთი წევრი მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებში, რომელიც წარმოდგენილია დანიის მომხმარებელთა საბჭოს მიერ;
- ერთი წევრი კომერციული ინტერესების დაცვის საკითხებში, რომელიც წარმოდგენილია დანიის ინდუსტრიის კონფედერაციის, გემთმფლობელთა ასოციაციის, სავაჭრო პალატის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფედერაციისა და სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების საბჭოს მიერ;
- ერთი წევრი იპოთეკური დაკრედიტების საკითხებში, რომელიც წარმოდგენილია დანიის იპოთეკური ბანკების საბჭოსა და იპოთეკური-საკრედიტო ინსტიტუტების ასოციაციის მიერ;
- ერთი წევრი საბანკო საქმიანობაში, რომელიც წარმოდგენილია დანიის ბანკირთა ასოციაციის, დანიის ფასიანი ქაღალდების დილერთა და ბროკერთა ასოციაციისა და დანიის ინვესტორთა ასოციაციის მიერ;
- ერთი წევრი დაზღვევის საკითხებში, რომელიც წარმოდგენილია დანიის დაზღვევის ასოციაციის, დაზღვევისა და საპენსიო ბროკერთა სავაჭრო ასოციაციისა და საპენსიო ფონდების ასოციაციების მიერ.

მმართველთა კოლეგიის რვავე წევრს ნიშნავს ბიზნესისა და ეკონომიკის საქმეთა მინისტრი 4 წლის ვადით.

XXI საუკუნის დასაწყისში, დიდი ბრიტანეთის მიერ ცენტრალური ბანკიდან საზედამხედველო ფუნქციის გამოყოფისა და ერთიანი საფინანსო ზედამხედველობის ორგანოს შექმნის შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებში დაიწყო მსჯელობა, უნდა დარჩეს თუ არა აღნიშნული ფუნქცია ცენტრალურ ბანკს. ზოგიერთმა ქვეყანამ, ბრიტანეთის მსგავსად, განახორციელა ცვლილება და დანერგა მსგავსი ინსტიტუციური სტრუქტურა. 2001 წელს დიდი ბრიტანეთის ეროვნულ ბანკს გამოეყო

საზედამხედველო ფუნქცია და შეიქმნა ერთიანი დამოუკიდებელი საფინანსო ზედამხედველობის ორგანო. 2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით დიდი ბრიტანეთის ცენტრალური ბანკის ამოცანებს დაემატა ფინანსური სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფა, ხოლო 2012 წელს ფინანსური სექტორის ზედამხედველობის განხორციელების მიზნით შეიქმნა და ცენტრალურ ბანკს დაეკავშირებარა პრუდენციული ზედამხედველობის ორგანო. ცალკე ორგანოდ რჩება მომხმარებელთა უფლებების დაცვა (ე.წ. “twin peaks” მოდელი)

2008-2009 წლებში გლობალურმა და ევროზონის ფინანსურმა კრიზისმა გამოააშკარავა სისუსტეები და ხარვეზები, რაც საფინანსო ზედამხედველობის მიმართულებით ბრიტანეთის ეროვნული ბანკის რეფორმას ჰქონდა. აშკარად გამოჩნდა, რომ ზედამხედველობის ფუნქციის ცალკე გამოყოფა ხელს უშლის ცენტრალურ ბანკს, ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაში. ცენტრალური ბანკის მიერ საფინანსო ბაზრის ზედამხედველობა ზრდის აღნიშნული სფეროს რეგულირების ეფექტიანობას. სწორედ ეს გახდა მიზეზი, განვითარებულიყო საპირისპირო ტენდენცია იმ ქვეყნებში, სადაც რამდენიმე წლის წინ ზედამხედველობის ფუნქცია ჩამოერთვა ცენტრალურ ბანკს, განხორციელდა კონტრრეფორმა და თითქმის ყველა შემთხვევაში, ცენტრალურ ბანკს მთლიანად ან ნაწილობრივ დაუბრუნეს საფინანსო ან საბანკო ზედამხედველობის უფლება.

საფრანგეთი 2003 წლის რეფორმის მიხედვით შეიქმნა 4 დამოუკიდებელი საფინანსო ზედამხედველობის ორგანო სექტორების მიხედვით. 2010 წელს განხორციელებული ცვლილებებით გაუქმდა სექტორალური მიდგომა და შეიქმნა ერთიანი საფინანსო ზედამხედველობის სტრუქტურა, საბანკო ზედამხედველობის კუთხით გაძლიერდა ცენტრალური ბანკის როლი. შეკავება გაწონასწორების უზრუნველყოფის მიზნით, ამ ორგანოს თავმჯდომარეა საფრანგეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი, ხოლო ვიცეპრეზიდენტები არიან სექტორალური მიმართულების ხელმძღვანელები.

მეტიც, ასოცირების დღის წესრიგიდან გამომდინარე, ვსაუბრობთ რა ევროპის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, ასევე ამ პროცესში ევროპის ცენტრალური ბანკის ჩართულობაზე, მნიშვნელოვანია გავცნოთ საბანკო ზედამხედველობის სფეროში რა პრაქტიკას მიიჩნევს საუკეთესოდ ევროპის ცენტრალური ბანკი. აღსანიშნავია, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი უშუალოდ ახორციელებს საბანკო ზედამხედველობას ევროზონის იმ სახელმწიფოებში, სადაც ევრო არის ადაპტირებული ეროვნულ ვალუტად (19 ქვეყანა). ევროპის ცენტრალური ბანკი ზედამხედველობას ახორციელებს მისი საზედამხედველო სტრუქტურის ზედამხედველობის საბჭოს მეშვეობით. ამ ეტაპზე ევროპის ცენტრალური ბანკის კომპეტენციაში შედის მხოლოდ საბანკო ზედამხედველობა. დანარჩენი საფინანსო ინსტიტუციების ზედამხედველობას ახორციელებენ ევროკავშირის სხვა ინსტიტუციები. თუმცა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ გაერთიანდეს საზედამხედველო ინსტიტუციები და გაძლიერდეს ევროპის ცენტრალური ბანკის როლი ერთიან საფინანსო ზედამხედველობაში. აქვე აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნების საზედამხედველო ორგანოს ავტონომიურობა, რომელიც ცენტრალური ბანკისაგან განცალკევებით ახორციელებს ფინანსურ ზედამხედველობას, ხშირად ხდება კრიტიკის საგანი. ამის მაგალითია პოლონეთი, რომლის ფინანსური სექტორის შეფასების დოკუმენტში. საზედამხედველო ორგანოს დამოუკიდებლობის პრინციპი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ შეაფასა, როგორც „მატერიალურად შეუსაბამო.“ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საზედამხედველო ორგანოს საოპერაციო და ფინანსური საქმიანობა არ არის დაცული და დამოუკიდებელი პოლიტიკური გავლენისაგან.¹²

¹² ბაზელის კომიტეტი და მსოფლიო საბანკო მაფია, ვეფხია სამსონიძე; 2014;

თავი III. თანამედროვე საბანკო რეგულაციების სისტემა

3.1 ფულად -საკრედიტო სფეროს თანამედროვე მდგომარეობა

საფინანსო ინსტიტუტებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდნენ. საქართველოს ეროვნული ბანკი ორი წლით ადრე აანონსებდა საბანკო სექტორის ახალი რეგულაციების შემუშავებასა და მათი ამოქმედების თარიღს. თუმცა ეს თარიღები რამოდენიმეჯერ შეიცვალა და გადავადდა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ამ რეგულაციების დამუშავების, დახვეწისა და დანერგვისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს უკავშირდებოდა.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, რომლის მიხედვით ბანკი სრულად უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს მთელ საფინანსო სექტორს. კერძოდ: კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორებს, აქტივების მმართველ კომპანიებს, ანგარიშვალდებულ საწარმოებს, საინვესტიციო ფონდებს, საგადასახადო სისტემის ოპერატორებს და საგადასახადო მომსახურების პროვაიდერებს, ნაწილობრივ ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებს. ამ ცვლილებათა განხორციელების მთავარი მიზანია სექტორის ფინანსური მდგომარეობის, გამჭვირვალობის ხელსეწყობისა და კორპორაციული მართვის კულტურის ამაღლება.

სიახლეებს შემდეგი რიგი შეეხება კომერციული ბანკების უსაფრთო ფუნქციონირებას. ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპების“ შესაბამისად, ბაზელ 3-ის ფარგლებში, კომერციული ბანკების საზემდამხედველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება“ (ცვლილება), „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი“,

„სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე“, „კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრა“. ასევე, პილარ 2-ის ფარგლებში კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის დამატებითი ბუფერი რისკების შეფასების საერთო პროგრამის (General Risk Assessment Program- GRAPE) მიხედვით და სხვა. ეს მნიშვნელოვანი და საგრძნობი სიახლეები ბანკებისგან მოითხოვს კაპიტალის ადეკვატურობის უფრო მაღალ კოეფიციენტს ან შემოსავლიანი აქტივების ზრდის შეზღუდვას, რაც ბანკების აქტივობის შენელებას და მოგებიანობის შემცირებას გამოიწვევს.

მნიშვნელოვანია, რომ მსესხებლის გადამხდელ უნარიანობის შეფასების მოთხოვნა ასევე განსაზღვრულია ევროკავშირში მოქმედი იმ დირექტივით (მომხმარებელთა საკრედიტო ბანკების საკრედიტო შეთანხმების 2008/48/EC დირექტივა), რომელიც, ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ 2019 წლის სექტემბრამდე უნდა დანერგოს.

ამ დებულების მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება. რეგულაცია აწესებს სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების მაქსიმალურ საზღვრებს, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებთან და ითვალისწინებს საქართველოს საბანკო სექტორის მახასიათებლებს.

დებულებით განსაზღვრული რეგულაციები ერთდროულად გახდება სავალდებულო, როგორც კომერციული ბანკებისთვის, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის, საკრედიტო კავშირებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის.

კომერციული ბანკებისთვის ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების ამოქმედებამ სესხის გაცემის პროცედურები მკვეთრად შეცვალა. შეიძლება ითქვას რომ გაამკაცრა. კერძოდ, კომერციულ ბანკებს მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა ეზღუდებათ. იმისათვის, რომ ფიზიკური პირის შემოსავლად ჩაითვალოს გაანალიზებულად, ბანკში წადგენილ

უნდა იქნეს სახლფასო ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან ან ცნობა შემოსავლების სამსახურიდან.

თუ მსესხებელი შემოსავალს იღებს სავაჭრო / სამეწარმეო საქმიანობიდან, ბანკს მოუწევს გადამხდელუნარიანობის დასადასტურებლად მისი საქმიანობის დეტალური ფინანსური ანალიზი ჩაატაროს. ეროვნული ბანკის განმარტებით, შემოსავლის დადასტურების გარეშე საცალო სესხების გაცემის მოტივაციის შემცირება ხელს უწყობს საბანკო სექტორში საკრედიტო სტანდარტების, ასევე კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხის გაუმჯობესებას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობების წახალისებას.

ახალი რეგულაციების მიხედვით, შეიცვალა სესხის მოცულობის ლიმიტები და კოეფიციენტები. მაგალითად, არსებული სამუშაო ვარიანტით ირკვევა, რომ თვეში ათასლარიანი შემოსავლის მქონე ადამიანი მხოლოდ იმ ოდენობის სესხს აიღებს, რომლის დაფარვისთვისაც თვეში მაქსიმუმ 200 ლარი უნდა გადაიხადოს. დაუშვებელია ისეთი სესხის გაცემა, რომელზეც მსესხებელი მხოლოდ საპროცენტო განაკვეთს იხდის, ხოლო ძირ თანხას ან მის მნიშვნელოვან ნაწილს სასესხო ვადის ბოლოს ფარავს. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება საკრედიტო ბარათებსა და ოვერდრაფტებზე.

კოეფიციენტები გაიზარდა მომხმარებლის შემოსავლის პარალელურად. მაგალითად, სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტი 1 000-დან 3 000 შემოსავალზე - 25%-ია; 3 000-დან 5 000 ლარის შემოსავლის შემთხვევაში 30%; 5 000-დან 7 000 ლარის ფარგლებში -40%; 7 000-დან 10 000 ლარამდე ყოველთვიური შემოსავლის შემთხვევაში კი 50 %-ი. ყველა ბანკისთვის სავალდებულოა სესხის აღების მსურველის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის ჩატარება და მათი შემოსავლების

დადასტურება. ბანკი სესხს არც იმ შემთხვევაში არ გასცემს, თუ თანამსესხებელი ოჯახის წევრი არ იქნება.¹³

შეიცვალა სესხის აღების ვადებიც. დოკუმენტის თანახმად, იპოთეკური სესხის მაქსიმალურ ვადად-15 წელი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხზე- 10 წელი, სატრანსპორტო სესხის შემთხვევაში- 6 წელი, სხვა დანარჩენი სესხებისთვის კი მაქსიმალურ ვადად- 4 წელია განსაზღვრული.

საფინანსო სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ასევე არის სიახლეები. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, გამკაცრდა მომხმარებლის ინფორმირების მოთხოვნები სასესხო და სადეპოზიტო პროდუქტების შეთავაზებისას. ფინანსური ორგანიზაცია ვალდებული იქნება მომხმარებლისთვის სასესხო და სადეპოზიტო პროდუქტის პირადი შეთავაზებებისას მას მიაწოდოს ინფორმაცია შეთავაზებული პროდუქტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ. მოთხოვნა ვრცელდება, ინტერნეტ-ბანკის, გადახდის თვითმომსახურების ჯიხურების და ბანკომატების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების შემთხვევაშიც და ა. შ.

ცვლილებები განისაზღვრა ფინანსურ ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით ხელშეკრულებების დადების წესი, რაც, მათ შორის, გულისხმობს მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და შეთავაზების პირობების წინასწარ მიწოდებასა და ამ ინფორმაციის შემდგომ ხელმისაწვდომობას. ასევე მომხმარებელთან ზეპირი კომუნიკაციის სტანდარტებს.

გარდა ამისა, განისაზღვრა ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულება უზრუნველყოს სესხების გამჭვირვალედ ამორტიზაცია, რაც გულისხმობს დარიცხული პროცენტის დაანგარიშებისას ყოველდღიური დარიცხვის პრინციპის გამოყენებას. ასევე, დაზუსტდა ხელშეკრულების ფორმების ნიმუშები. ფინანსურმა

¹³ <https://1tv.ge/news/lllsabanko-regulaciebi-romlebic-1-noembridan-unda-amogmedebuliyo-gadavadda/>

ორგანიზაციამ მომხმარებელს სავალდებულო სახით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საფინანსო პროდუქტის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე;

თუ კრედიტის ან დეპოზიტის პროდუქტის მომხმარებელზე შეთავაზება ხდება პირადად, მათ შორის დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებებით ფინანსურმა ორგანიზაციამ მომხმარებელს სავალდებულო სახით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საფინანსო პროდუქტის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე;

თუ კრედიტის ან დეპოზიტის პროდუქტის შეთავაზებაში (გარდა ვერბალური შეთავაზებისა) ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან ერთად საფინანსო პროდუქტის ფასის განმსაზღვრელი სხვა ნებისმიერი პარამეტრის გამოყენების შემთხვევაში, ყველა ამ პარამეტრის, მათ შორის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფონტის ზომა და ვიზუალი უნდა იყოს ერთმანეთის იდენტური.

აღსანიშნავია, რომ ჯანსაღი საკრედიტო სტანდარტებისა და პასუხისმგებლიანი დაფინანსების წახალისების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს ჯერ კიდევ 2014 წლიდან. პროცესი კომერციულ ბანკებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობდა. ამასთან, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ჩართულობით გადადგმულ იქნა ისეთი თანმიმდევრული ნაბიჯები, როგორებიც იყო მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ღონისძიებები (მათ შორის, მომხმარებელთა უფლებების დარღვევის გამო დაჯარიმებების, მომხმარებელთა უფლებების წესების საფინანსო სექტორის წარმომადგენლებზე გავრცელების, დაცულ მომსახურებასთან დაკავშირებული აქტივობები) და დაბალი საკრედიტო სტანდარტების მქონე სესხებისათვის კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მოთხოვნების ზრდა. ამ უკანასკნელი ღონისძიებით ფიზიკურ პირებზე გაცემული და სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხებისათვის განისაზღვრა „ სესხის მომსახურებისა” და (ე.წ PTI- payment to income ratio) და „სესხების უზრუნველყოფის”

(LTV –Loan to value ratio) კოფიციენტების მინიმალური მოთხოვნები. შესაბამისად, 2017 წლის 1 დეკემბრიდან გაცემულ სესხებზე, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ PTI-სა და LTV-ის განსაზღვრულ ლიმიტებს კომერციულ ბანკებს მკვეთრად გაეზარდათ საზედამხედველო ტვირთი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების კუთხით. აღნიშნულიმა ღონისძიებებმა თავისი დადებითი ეფექტი მოახდინა ბაზრის სტრუქტურასა და დინამიკაზე. ¹⁴

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც ახალი რეგულაციებით მოეთხოვება კომერციულ ბანკებს არის კრედიტის გაცემაზე შეზღუდვები. კერძოდ:

1. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და კომერციულ ბანკებში ჯანსაღი საკრედიტო პორთფელის ხელსეწყობის მიზნებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, ცვლილება შევიდა „ კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებაში“ ცვლილებებით იზღუდება მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა. ამ ტიპის სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%. შემოსავლის დადასტურების გარეშე საცალო სესხების გაცემის მოტივაციის შემცირება ხელს შეუწყობს საკრედიტო სტანდარტების გაუმჯობეებას საბანკო სექტორში, კომერციული ბანკების საკრედიტო პორთფელების ხარისხის გაუმჯობეებას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობების წახალისებას.

2. თუ მსესხებლის გადახდის უნარიანობის შესწავლა/შეფასება მოხდება , ის გაცილებით დაბალ პროცენტთან სესხს მიიღებს. შესაბამისად, სარგებელი იქნება

¹⁴ https://factcheck.ge/ka/story/37995-სესხების-გაცემის-ახალი-რეგულაციები-ახალი-ბარიერები-მომხმარებლისადაბიზნესისთვის?fbclid=IwAR0P9eKRt8ENZMhULwlPnXnPTE_9B1yYzRM_3OVj0WzihzP509k7SRQRtw

ორმხრივი- ბანკსაც აღარ ექნება ის რისკი, რომ შესაძლოა, დადაფოლტება მოხდეს და მსესხებელსაც არ ექნება რისკი, რომ შემოსავლის შეფასების გარეშე, მაღალ პროცენტად მიღებულ სესხს ვერ მოემსახურება და უარყოფით სტატუსს მიიღბს საკრედიტო ბიუროში.

პირველი იანვრიდან სესხების გაცემაზე ახალი პირობები ამოქმედდა. ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული, ფიზიკურ პირებზე პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულება. ბანკის ცნობით, რეგულაციების მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება

ამრიგად, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სუბიექტი, რომელსაც შეუძლია უსწრაფესად და ეფექტურად უზრუნველყოს მოსახლეობის ნდობა ბანკებისადმი, არის მხოლოდსახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია:

1. რესურსების საბანკო ბრუნვაში ჩაბმვაში;
2. ეკონომიკის სტაბილიზაციის ამაღლებაში
- და 3. საბანკო სექტორში კრიზისული მოვლენების აღმოფხვრაში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, საბანკო ზედამხედველობის არარსებობა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, დიდი ხნის მანძილზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემის მდგომარეობაზე და პარალელურად იწვევს ნდობის დაკარგვას საბანკო სისტემისადმი. აღნიშნული მიზეზების გამო არ არის გამორიცხული, რომ ქვეყნის საბანკო სისტემის მეანაზრეების ნაწილმა თავისი თანხები შეიტანოს იმ ქვეყნების ბანკებში, სადაც გააჩნიათ ძლიერი სახელმწიფო საზედამხედველო სისტემა. საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საზღვარგარეთის ბანკებში ანაზრების შეტანა ნაკლებადაა სასურველი, ვიდრე დანაზოგები ნაღდ უცხოურ ვალუტაში, ვინაიდან კონკურენციის მთავარ ფაქტორს საბანკო მომსახურების ბაზარზე წარმოადგენს კლიენტურის კონსერვატიულობა. იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს საბანკო სისტემაში, საბაზრო ფაქტორების გავლენის შედეგად, დამყარდება სტაბილურობა, ბაზრის

მნიშვნელოვანი ნაწილი სამამულო ბანკისათვის დაკარგული იქნება, კლიენტების მსხვილ უცხოურ ბანკებში გადასვლის შედეგად. იმისათვის, რომ არ დაუშვათ კრედიტორთა მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვა ეროვნული ეკონომიკისათვის, მიზანშეწონილია უზრუნველყოთ მოსახლეობის ნდობა სამამულო ბანკებისადმი, გარკვეული კომპლექსური ღონისძიებების გატარებით ისე, რომ არ დაველოდოთ საერთო ფინანსურ-ეკონომიკურ სტაბილიზაციას. ამისათვის კი საჭიროდ მიგვაჩნია: პირველი, საბანკო ოპერაციების სამართლებრივი უზრუნველყოფა, რომელიც სამოქალაქო კანონდებლობით არის დადგენილი და მეორე, ბანკების საქმიანობის ძირითადი პარამეტრების სახელმწიფოებრივი რეგულირება, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის საგნით არის განსაზღვრული.

ფულად-საკრედიტო სფეროს თანამედროვე მდგომარეობა

იმ მნიშვნელოვან პრობლემებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს საბანკო სისტემის ფორმირების პროცესში ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაზე, უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორად განსაზღვრა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოწოდებულია გადაწყვიტოს ისეთი ამოცანები, როგორცაა:

1. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა;
2. ეროვნული ვალუტის სტაბილურობა;
3. მოსახლეობის რაციონალური დასაქმება;
4. ოპტიმალური საგადასახადო ბალანსის ფორმირება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ისეთი ღონისძიებების შემუშავება და მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის შესაბამისი მექანიზმების შექმნა,

რომელიც უზრუნველყოფს ფულის მასის მოძრაობის ოპტიმალურ დინამიკას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება, როგორც ინფლაციური პროცესების შეჩერება, ასევე წარმოების განვითარების სტიმულირება. აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია მოქნილი ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარება, უპერსპექტივო საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება და საკრედიტო ემისიის რაციონალური მართვა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფუძემდებლური მიზანი უნდა გახდეს ეკონომიკის დინამიური რესურსებით უზრუნველყოფა წარმოების საერთო დონის ამაღლების საფუძველზე, სრული დასაქმების მიღწევა და პარალელურად ინფლაციის შეზღუდვა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში იგულისხმება ასევე ფულის მიმოქცევის ისეთი რეგულირება, რომლის შედეგად შესაძლებელია მიღწეულ იქნას წარმოების ერთობლივი მოცულობის, დასაქმებისა და ფასების დონის სტაბილიზაციის მიღწევა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ უნდა გამოიწვიოს ფულის მიწოდების გადიდება, ეკონომიკის დაქვეითების დროს დანახარჯების წასახალისებლად, ხოლო ინფლაციის დროს, პირიქით უნდა შეზღუდოს ფულის მიწოდება დანახარჯების შესაკვეცად. ამრიგად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი მიზანია ეროვნული ეკონომიკისადმი ფინანსური მხარდაჭერა და საბანკო სისტემის ფორმირების პროცესში წინააღმდეგობრივი მოვლენების აღმოფხვრა.

ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას გამოყენებული უნდა იქნას მოწინავე ქვეყნების პრაქტიკაში არსებული რეგულირების საერთო და სელექციური მეთოდები საერთო მეთოდები ფაქტიურად მოიცავს რა არაპირდაპირ მეთოდებს ეხება საკრედიტო ბაზარს მთლიანობაში. სელექციური მეთოდები მიმართულია კრედიტის კონკრეტულ სახეობაზე. ეს მეთოდი უპირველესად გამოიყენება კერძო ამოცანების გადასაწყვეტად. მაგალითად, სელექციურ მეთოდებს მიეკუთვნება საბანკო სესხების ლიმიტირება, ცალკეული სახეობის კრედიტის გამოყენების რეგლამენტაცია,

დაბალრენტაბელური საწარმოების დაკრედიტებისას კომერციული ბანკების ოპერაციებისათვის სახსრების შეღავათიანი რეფინანსირება და სხვა.

სამრეწველო განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებზე ზემოქმედების სელექციური მეთოდის გამოყენებას მაშინ ახორციელებს, როცა წარმოების დაცემას აქვს ადგილი და დარღვეულია კვლავწარმოების პროპორციები. ასეთ პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა წარმოდგენილი უნდა იქნეს პრორიტეტულ დარგებში ინვესტიციების სტიმულირების სახით.

ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო რეგულირების მეთოდებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აკისრია სადისკონტო განაკვეთს, რომელიც წარმოადგენს სასესხო კაპიტალის ბაზარზე სახელმწიფოს რეგულირების ოპერატიულ ინსტრუმენტს, ოფიციალური სადისკონტო განაკვეთი საფუძვლად უნდა დაედოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთს, ამასთან იგი განსაზღვრავს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებისა და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთს ანტიინფლაციური მიზნებისათვის სადისკონტო პროცენტის ამაღლება. ე.ი. „ძვირი ფულის“ პოლიტიკა, ზღუდავს კომერციული ბანკების შესაძლებლობებს ეროვნული ბანკიდან მიიღონ სესხები, ამასთან ერთდროულად ზრდის იმ ფულის ფასს, რომელიც კრედიტის სახით ეძლევა კომერციულ ბანკებს, ამის შედეგად ეკონომიკაში, საკრედიტო დაბანდებები მცირდება და, შესაბამისად, მიმდინარეობს წარმოების შემდგომი აღმავლობის დამუხრუჭება.

ტრადიციულად განვითარებადი ქვეყნები სტრუქტურული რეფორმების დაწყებამდე მიმართავენ საპროცენტო განაკვეთების მკაცრი ადმინისტრაციულ რეგულირებას, რისთვისაც მთავრობები აწესებენ სესხებზე განაკვეთების ზედა ზღვარს, რითაც ცდილობენ შეზღუდონ სახელმწიფო ვალს მომსახურების ხარჯები, გაუადვილონ სესხების მიღება მოსახლეობას. უარყოფითმა რეალურმა საპროცენტო განაკვეთმა განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა აიძულა საკუთარი დანაზოგები დაეხსნათ არა საბანკო დეპოზიტებში, არამედ ძვირფას ლითონებსა და თვლებში, ხანგრძლივი მომსახურების საგნებში, უცხოურ

ვალუტაში, რაც ძირს უთხრის ინვესტიციების დაფინანსების საკუთარი წყაროების გამოყენებას, იწვევს ფასების გლობალურ ზრდას, არღვევს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

საქართველოში ფულად-საკრედიტო სფეროს ერთ-ერთ ნაკლად ასახელებენ მიმოქცევაში არსებული ფულის მასის სიმცირეს. ფულის მასის დიდი ნაწილი საბანკო სისტემის გარეთაა. შეიძლება ასეთ პრობლემებს ჰქონდა ადგილი ეკონომიკური გარდაქმნების დროს ცალკეულ მონაკვეთებზე, მაგრამ, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, დღეისთვის მიმოქცევაში არსებული ფულის მასის რაოდენობა საკმარისია ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირებისათვის.

დამატებითი ფულის მასის მიმოქცევაში გაშვებისათვის ჯერჯერობით ეკონომიკური გარემო არაა მომზადებული, ამიტომ მას შთანათქვავს სავალუტო ბაზარი და სარისკო გახდება დღევანდელი ინფლაციის დღევანდელი დონის შენარჩუნება. მიმოქცევაში არსებული ფულის მასის გაზრდის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ეროვნული ბანკის თავისუფლად ყიდის ეროვნულ ვალუტას და სავსებით ცხადია, რომ ლიკვიდობის არარსებობის შემთხვევაში ეკონომიკური აგენტები არ ისურვებენ ვალუტის შესყიდვას. ამიტომ პრობლემა მდგომარეობს არა მიმოქცევაში ფულის მასის რაოდენობაში, არამედ იმაში, თუ რამდენად ეფექტიანი მექანიზმებია შემუშავებული ლიკვიდურობის რეგულირებისა და ფულზე მოთხოვნის გადიდებისათვის.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ-ჯერობით საკრედიტო ბაზრისა და საპროცენტო განაკვეთების დარეგულირების პროცესი რთულად მიმდინარეობს. კომერციულ კრედიტებზე მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით ჩვენში საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად მაღალია. მაღალი საპროცენტო განაკვეთები ხელს უშლის ქვეყანაში მეწარმეობის (ბიზნესის) მრეწველობის განვითარებას. დაბალი საპროცენტო განაკვეთები ხელს შეუწყობდა მრეწველობის განვითარებას. შეიქმნებოდა ახალი სამუშაო

ადგილები, დასაქმდებოდა ხალხი, შევიდოდა ბიუჯეტში ფული და ფულად-საკრედიტო სისტემა უფრო მტკიცე იქნებოდა.

საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე უარყოფითად მოქმედებს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობაც. მიმდინარე გადასახდელთა მდგომარეობა უარესდება შიდა დაგროვების არაადეკვატური დონის მიზეზით, წარმოებს კაპიტალის მასობრივი გადინება. ამ მოვლენის საწინააღმდეგოდ განვითარებადი ქვეყნების მთავრობები განსაზღვრავენ კონკრეტულ დონისძიებებს მკაცრი სავალუტო შეზღუდვის შემოღებით, მაგრამ ამას არ მოაქვს სათანადო შედეგი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კაპიტალის გატანას. თუ შიდა საპროცენტო განაკვეთების დონე კორექტირებული ეროვნულ ვალუტის მოსალოდნელ გაუთვალისწინებელი გაუფასურებასთან მაღლა მსოფლიო ბაზრების განაკვეთების დონეზე, შეიძლება დაიწყოს ქვეყანაში კერძო კაპიტალის შემოსვლა, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკური ზრდის დაფინანსებით უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით შიდა დაგროვების უკმარისობის პირობებში. რიგ დადებით მხარესთან ერთად, საპროცენტო განაკვეთების დონის ამალღება იწვევს ინვესტიციების ზრდას მის მოხმარებასთან შედარებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს იმპორტულ საქონლეზე მოთხოვნის გადიდება, იმის გამო, რიგ განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციების განმასხვავებელ თავისებურებაა მათი დიდი იმპორტტევადობა მოხმარებასთან შედარებით. უკანასკნელ წლებში განვითარებადი ქვეყნების დიდმა ნაწილმა უარი თქვა საპროცენტო განაკვეთების ადმინისტრაციულ რეგულირებაზე, მისი ლიბერალიზაციის მხარდაჭერის მოთხოვნით, რაც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად განხორციელდა, რაც უპირატესად გამოწვეულია საგადასახდელო ბალანსის კაპიტალური ნაწილის „გახსნის“ ხარისხით. კაპიტალის მოძრაობის შეუზღუდავობისას აუცილებელია საპროცენტო არბიტრაჟის შექმნა, რომლის ძირითადი ამოცანაა: 1. საპროცენტო განაკვეთების საერთაშორისო დონესთან გათანაბრება; 2. ეროვნული ვალუტის მოსალოდნელი გაუფასურებისა და რისკის ფაქტორების გათვალისწინება.

იმ ქვეყნებში, სადაც შიდა საკრედიტო-საფინანსო ბაზრები საგარო ბაზრებისაგან იზოლირებულად ფუნქციონირებენ, მსოფლიო საპროცენტო განაკვეთების დონე არავითარ როლს არ ასრულებს, ასეთ შემთხვევაში ნომინალური საპროცენტო განაკვეთების დონე განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: პირველი, შიდა საკრედიტო-საფინანსო ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნას შორის თანაფარდობა; მეორე, ჭარბი ფულადი მასის სიდიდე; მესამე, ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი.

საპროცენტო განაკვეთების ადმინისტრაციული რეგულირება ორგანულად დაკავშირებულია საბანკო სესხების განაწილებაში მთავრობათა არსებით როლზე. განვითარებადი ქვეყნების მთავრობების მიერ სელექციური საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება წარმოების შემდეგი მექანიზმებით: პირველი, საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებათა აქტივების რეგულირება არაპრიორიტეტული დარგებისათვის დაკრედიტების მინიმალური ლიმიტების დაწესების გზით; მეორე, სპეციალური საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების შექმნა, რომლებიც საკუთარი რესურსების დაბალ-საპროცენტო განაკვეთებს მიმართავენ პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის; მესამე, იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც პრიორიტეტულ დარგებს აკრედიტებენ, სპეციალური პირობების შექმნა განაღდების შეღავათიანი პოლიტიკისა და სარეზერვო მოთხოვნა შემცირების გზით; მეოთხე, საკრედიტო განაკვეთებს და დეპოზიტებს შორის განსხვავების დაფინანსება საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯზე. მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ამგვარ რეგულირებას თავისი ნეგატიური მოვლენებიც გააჩნია, კერძოდ: 1. სელექციური საკრედიტო პოლიტიკის შედეგები მთლიანად დამოკიდებულია იმ პირებზე, რომლებიც ახდენენ პრიორიტეტული დარგების შერჩევას და საკრედიტო რესურსების გამოყენებით კონტროლს, ანუ ძლიერდება სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობა, რაც ამცირებს ოპტიმალური გადაწყვეტილების ალბათობას; 2. იაფი კრედიტი მოსახლეობის გარკვეულ ფენებში სტიქიურად ზრდის საბანკო სესხების მოთხოვნას, რაც იწვევს ფულადი მასის ზრდას და სავალუტო რესურსების შემცირებას; 3. შეინიშნება სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, ირღვევა

დანაზოგების მობილიზაციის პროცესი; 4. პრიორიტეტულ დარგებისათვის საბანკო სესხებზე ჩვეულებრივ დაბალ საპროცენტო განაკვეთის დაწესება ქმნის დიდი ოდენობის მაღალ სუბსიდიებს, რაც იფარება საერთაშორისო ორგანიზაციების შეღავათიანი სესხებით, დეპოზიტებიდან შემოსავლების შემცირებით, საბიუჯეტო ასიგნებით, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა მოგების შემცირებით და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორი საპროცენტო განაკვეთის შერჩევას და მისი ადმინისტრაციული რეგულირების მეთოდების სწორი განსაზღვრა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა.

ნორმალურად ფუნქციონირებადი ეკონომიკის პირობებში რეგულირების ფულად-საკრედიტო მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვნად წინ სწევს ეკონომიკის ზრდის სტიმულებს, მაგრამ მოშლილი ეკონომიკური სისტემის პირობებში რეგულირების ფულად-საკრედიტო მეთოდებს არა აქვთ დიდი ეფექტი, ისინი არასაკმარისია და სახელმწიფოს მხრივ უნდა დაემატოს პირდაპირი რეგულირების კომპონენტები. ეს ნათელია იმდენად, რამდენადაც ეკონომიკის რეგულირების ფულად-საკრედიტო მეთოდები მთლიანად საბაზრო ხასიათის მატარებელია და ამდენად მთლიანად არ შეუძლია ოპტიმალურად და ძირეულად გადაჭრას წინააღმდეგობანი, რომლებიც უშუალოდ საბაზრო მექანიზმშია მოქცეული.

ფულად-საკრედიტო ფაქტორების როლისა და მნიშვნელობის აბსოლუტიზაციას და მათ შესაძლებლობებზე გადაჭარბებულ წარმოდგენას რეალური საფუძვლები არ გააჩნია. მართალია, ვერ უარვყოფთ კვლავწარმოების პროცესში რეგულირების ფულად-საკრედიტო მეთოდების დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მათ, რომ არარეალური შესაძლებლობები მივაწეროთ, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ ფულის მიმოქცევის სტაბილიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნორმალური ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს

თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განვითარება. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ყოველწლიური რეკომენდაციები რეგულირების ეკონომიკურ მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს სახელმწიფოებრივი რეგულირების მომენტებსაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მათი მთელი ყურადღება გადატანილია ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაციაზე და მოხმარების პრიმატზე წარმოებასთან შედარებით, რაც თავის მხრივ, ქვეყნის რეალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას კიდევ უფრო ასუსტებს.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ხშირია შემთხვევები საგარეო-სავაჭრო გარიგებებისას გადასახადებისაგან თავის არიდების. ასეთ დროს ანგარიშგებაში საექსპორტო საქონლის ფასებს ფაქტიურთან შედარებით შემცირებულად უჩვენებენ, ამით აღურიცხავი მოგება თავს იყრის საწარმოს უცხოურ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე. ამით კუთვნილი თანხები აკლდება ბიუჯეტს და თანაც ფართოვდება კაპიტალის გადინება უცხოეთში. არ არის იმის გარანტია, რომ ეს თანხები უკან დაბრუნდება და მოხმარდება ქვეყნის ეკონომიკას.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკაში ჩამოყალიბდა მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს ფულადი რესურსების გადინებასა და რეგიონებს შორის უკონტროლო მსხვილმასშტაბიან გადანაწილებას და, აღნიშნული საბოლოო ჯამში, იწვევს წარმოების დესტაბილიზაციას. ასეთი ნეგატიური ტენდენციების სწრაფად აღმოფხვრა მნიშვნელოვან, სტრატეგიულ საქმედ მიგვაჩნია.

ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს უფრო კონკრეტული მიზნებისაკენ, რომლებიც ფაქტიური და შუალედური მიზნების განხორციელებას ითვალისწინებენ. ფაქტიური მიზნები მიიღწევა ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარზე ყოველდღიურ, თანმიმდევრული ოპერაციებით, ხოლო შუალედური მიზნები დასაშვებია უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის, ეკონომიკურ სისტემაში უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიზანმიმართული კორექტივებით. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის

შუალედური მიზნებია: პირველი, ფულადი მასის ზრდის ტემპის უზრუნველყოფა; მეორე, წარმოების ნომინალური მოცულობის მიღწევა; მესამე, ფასების დონის სტაბილიზაცია.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ, ეროვნული ბანკის უმთავრესი ფუნქციაა ქვეყანაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა რომ ეს ფუნქცია წინააღმდეგობაშია საგარეო კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის უზრუნველყოფასთან, პრიორიტეტი მაინც ფასების სტაბილურობის მიღწევას უნდა მიენიჭოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის ძირითადი დანიშნულებაა ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და საბანკო სისტემის მდგრადობას შეუწყობს ხელს. მსოფლიო გამოცდილების შესაბამისად ამ პოლიტიკის გასატარებლად შემდეგი სამი ინსტრუმენტი გამოიყენება: ოპერაციები ღია ბაზარზე; სარეზერვო ნორმის ცვალებადობა; სასესხო განაკვეთის შეცვლა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პირველი ინსტრუმენტის გამოყენება მიმოქცევაში ფულის მასის გასაზრდელად კომერციული ბანკების ხელთ არსებული ფასიანი ქაღალდების შესყიდვას გულისხმობს, ხოლო მიმოქცევაში ფულის მასის შესამცირებლად - ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ფასიანი ქაღალდების კომერციული ბანკებისათვის მიყიდვა. ასეთი ღონისძიებები პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან არ არსებობს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი. მეორე ინსტრუმენტიც, დღევანდელ პირობებში მცირე ეფექტიანია, ვინაიდან ფულის მასის დიდი ოდენობა ბანკებს გარეთ მიმოიქცევა, დასახვეწია დეპოზიტების დაზღვევის სისტემა.

სადისკონტო პოლიტიკის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რაც ხელს შეუწყობს შიდასაკრედიტო ბაზარზე მოთხოვნის გაზრდას და ფართო ინექციებს ეროვნული ეკონომიკაში. ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების ბირჟაზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება შესაძლებლობას

მისცემს საკრედიტო ინსტიტუტებს შედარებით იაფად შეიძინონ დამატებითი, რეზერვები სესხების სახით, მაგრამ ესეც პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს „ძვირი ფულის“ პოლიტიკას. მიმდინარე ეტაპზე ეროვნულმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთების შესამცირებლად საკრედიტო რესურსების დეფიციტის შევსებით შეიძლება უფრო გააღრმავოს ეკონომიკური კრიზისი.

მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში საბანკო სისტემის მიმართებით „ვიწრო“ და „ფართო“ ფულად-საკრედიტო ჩამოყალიბდა. კერძოდ, პირველი, „ვიწრო“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ითვალისწინებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს სავალუტო ბაზარზე ოპტიმალური კურსის შენარჩუნებას, რაც ზეგავლენას ახდენს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე; მეორე, „ფართო“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იბრძვის მიმოქცევაში არსებული ფულად მასაზე ზემოქმედებით ინფლაციის წინააღმდეგ.

ყველაზე ურთულესი პრობლემა, რომელიც ტიპურია ყველა ქვეყნისათვის ფულის მიწოდებისა და ერთდროულად სარგებლის განაკვეთის სტაბილიზაცია. საქართველოს ეროვნული ბანკი მოვალეა თავისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით ფასების სტაბილურობის პირობებში ხელი შეუწყოს წარმოებისა და დასაქმების ზრდას. ამ მიზნების განხორციელება მეტად რთულია და მოითხოვს ზედმიწევნით ზუსტ გათვლას და სათანადოდ გამიზნული ღონისძიებების გატარებას ბაზარზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედების ჩათვლით. ეკონომიკის წახალისებისათვის ხშირად საჭიროა ფულის მასის ზრდა, რაც ფულადი ბაზრის არასაკმარისი კონტროლის პირობებში ძალიან სახიფათოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სტაბილიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად თანდათანობით მცირდებოდა საპროცენტო განაკვეთები, თუმცა იგი კვლავ მაღალი რჩება, რაც დამოკიდებულია: 1. მაღალ საკრედიტო რისკზე; 2. სავალდებულო რეზერვების მაღალ ნორმაზე; 3. საკრედიტო პორტფელებში მოუმსახურებელი სესხების ტვირთსა და 4. ბანკების მისწრაფებაზე შეცვალონ კაპიტალის სტრუქტურა. საკრედიტო ბაზრის რეგულირების ერთ-ერთი ხელისშემშლელი მიზეზი

სწორედ კრედიტების საპროცენტო განაკვეთის ადმინისტრაციული წესით განსაზღვრაა, საჭიროა მისი აუქციონის განაკვეთებთან შესაბამისობაში მოყვანა, საპროცენტო რისკების მართვის ხანგრძლივობის განსაზღვრა საპროცენტო ფიუჩერების, ოფცონებისა და სვოპების გამოყენებით, ლიკვიდობის მართვა და მასთან დაკავშირებული რისკების შესწავლა, საპორტფელე ინვესტიციების რისკის მართვის ხანგრძლივობის და საერთო მახასიათებლების ანალიზი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კრედიტების გაცემასთან დაკავშირებით ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას, ამ თვალსაზრისით ფართოდ უნდა დაინერგოს კრედიტის გაცემის საკონტრაქტო ურთიერთობები, ამჟამად მოქმედი ნორმატიული დებულებები, რომლებითაც ეროვნული ბანკი ადმინისტრაციული წესით ზედამხედველობას უწევს კომერციულ ბანკებს ეფექტური არ არის და გადასინჯვას მოითხოვს. ისევე როგორც 30%-იანი ლიკვიდურობის ზღვარს შენარჩუნება, კერძოდ კი არ არის მართებული მისი დაწესება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან აღებული გრძელვადიანი საკრედიტო ხაზებით მიღებულ არასადეპოზიტო ვალდებულებები, რადგანაც ეს ნორმატიული აქტი აიძულებს ბანკს, იმ მიზნობრივი რესურსების ნაწილი, რომელიც მან კონკრეტული პროექტის დასაფინანსებლად აითვისა, 80%-ის ოდენობით ლიკვიდური სახსრების სახით გააჩეროს რამდენიმე წლის განმავლობაში.

თანამედროვე საბანკო სისტემა სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური რგოლია, რომლის განვითარება დიდად არის დამოკიდებული მართვის სისტემის სწორ ორგანიზებაზე. კომერციული ბანკის მართვისას ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი ლიკვიდურად, თუ იგი ფლობს ან სესხის აღების თუ აქტივების გაყიდვის გზით შეუძლია სწრაფად მიიღოს სახსრები მათზე მოთხოვნილების გაჩენისთანავე. ბოლო წლებში ლიკვიდობის მართვა ნუ ფულადი სახსრების მარაგების შექმნა ბანკებისათვის გადაიქცა განსაკუთრებულ ამოცანად.

საბანკო სფეროში ლიკვიდობასთან დაკავშირებულ პრობლემათა უმრავლესობა წარმოიშობა ბანკის ფარგლებს გარეთ, მათი ლიცენზიიდან გამომდინარე, სინამდვილეში კლიენტის

ლიკვიდობის პრობლემა ტრანსფორმირდება მათი ბანკების ლიკვიდობის პრობლემაში. ბანკის ლიკვიდობის მართვა დაკავშირებულია საპროცენტო რისკთან და ბანკისათვის საჭირო ლიკვიდური სახსრების მიუწვდომლობის რისკთან.

ლიკვიდურ სახსრებზე ბანკის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ყველაზე ძველი ხერხია ლიკვიდობის მართვა აქტივებით. იგი მოითხოვს ლიკვიდური სახსრების დაგროვების ლიკვიდური აქტივების სახით (ფულად სახსრებად და ფასიან ქაღალდებად), როცა წარმოიშობა მოთხოვნა ლიკვიდურ სახსრებზე, მოცემული აქტივები გაიყიება მანამდე, სანამ არ დაკმაყოფილდება ნაღდ საშუალებებზე მოთხოვნა. ლიკვიდობის მართვის ამ სტრატეგიას აქტივების ტრანსფორმაცია ეწოდება, რამდენადაც ლიკვიდური აქტივები მიიღება არაფულადი აქტივების ნაღდ საშუალებებად გადაქცევის ხარჯზე.

ლიკვიდურ აქტივებს უნდა გააჩნდეს შემდეგი თავისებურებები: პირველი, ჰქონდეს საკუთარი ბაზარი, რათა სწრაფად გადაიქცნენ ფულად; მეორე, ჰქონდეს საკმაოდ სტაბილური ფასები, ანუ ბაზარმა უნდა მიიღოს ყველა გასაყიდი აქტივი მათზე ფასების მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე; მესამე, უნდა იყოს უკუქცევითი, ანუ გამყიდველს უნდა შეეძლოს აინაზღაუროს პიველადი ინვესტიციები მინიმალური სახით. ლიკვიდური აქტივების გაზრდის ხარჯზე ბანკის ლიკვიდობის დონის ზრდა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ლიკვიდურ ბანკად მის გადაქცევას, რამდენადაც ლიკვიდობის დონეზე მოქმედებს ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნა, ანუ ბანკი ითვლება ლიკვიდურად, თუკი შეუძლია მიიღოს ლიკვიდური სახსრები გონივრული ფასებით, საჭირო რაოდენობით და დროის აუცილებელ მონაკვეთში.

საქართველოს ბანკების უმრავლესობა იყენებს ლიკვიდობის მართვის შუალედურ სტრატეგიას, ანუ ლიკვიდობის მართვას აქტივებით და პასივებით. იმის გამო, რომ საქართველოში არ მიმოიქცევა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და არ არსებობს მათთვის მეორადი ბაზარი, ბანკებს საშუალება არა აქვთ შეიძინონ, ისეთი ლიკვიდური აქტივები, რომელიც ექნებათ საკუთარი ბაზარი სტაბილური ბასებით, აქედან გამომდინარე,


რეალურად საქართველოში ბანკების ხელმძღვანელობა ლიკვიდობის აქტივებით მართვის სტრატეგიას ნაკლებად გამოიყენებს, პრაქტიკულად ასევე გამოუყენებელია ლიკვიდობის პასივებით მართვის სტრატეგია, ვინაიდან: 1. საქართველოში არ არსებობს ისეთი ფულადი ბაზარი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მისაღები ფასებით, საჭირო რაოდენობით და დროის აუცილებელ მომენტში ლიკვიდური სახსრების მოზიდვა; 2. პასივებით მართვის სტრატეგია საკმაოდ რისკიანია, ამას ისიც ზრდის, რომ კომერციული ბანკებისათვის ეროვნული ბანკის ნორმატივი აიძულებს მათ ყოველი თვის ბოლოს აქტივებში ლიკვიდური აქტივების დონე უზრუნველყონ 30%-ით.

რაც შეეხება ეროვნული ბანკის საქმიანობას, იგი გამიზნული უნდა იყოს: პირველი, სარეზერვო მოთხოვნების ოპტიმალური რეგულირებისა და კომერციული ბანკების რეფინანსირების სრულყოფისაკენ; მეორე, საბანკო სისტემის გარეთ ფულის მასის მოძრაობის ოფიციალური პირების ჩართვაში; მესამე, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მომავალში თანდათანობით უნდა შეიცვალოს ზომიერი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით. კომერციული ბანკების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა როგორც არსებული კანონმდებლობის სრულყოფა, ასევე ახალი ნორმატიული აქტების მიღება, პირველ რიგში ეს ეხება ანგარიშსწორების მექანიზმის სრულყოფას, დღეისთვის საერთაშორისო ანგარიშსწორება უფრო სწორად ხდება, ვიდრე ქვეყნის შიგნით, რაც მოითხოვს „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ კანონის მიღებას, ამასთან, დღეს საქართველოში ვალუტაში ანგარიშსწორება უფრო სწრაფია ვიდრე ლარებში. ამასთან მეტად მიშვნელოვნად მიგვაჩია იმის აღნიშვნაც, რომ ქვეყნის ფულად-საკრედიტო სფეროს ანალიზს სრულყოფილად ვერ შევძლებთ, თუ არ განვიხილავთ, სავალუტო პოლიტიკას, როგორც მის ერთ-ერთ ორგანულ ნაწილს.

3.2 საბანკო სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციები

2019 წლის პირველი მაისის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 15 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 14 - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. აპრილში წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 590.2 მლნ ლარით, ანუ 1.5 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 1.3 პროცენტით) და 2019 წლის პირველი მაისისათვის 40.0 მლრდ ლარს მიაღწია. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 5.3 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13.1 პროცენტია. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2018 წელს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ (მოგების გადასახადის შემდეგ მოგება) 915 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელზე 45 მლნ ლარით (5.2%-ით) მეტია. 2017 წელს ბანკების წმინდა მოგება 870 მლნ ლარი იყო. კონკრეტულად 2018 წლის ბოლო თვეში - დეკემბერში, ბანკების მოგებამ 119 მლნ ლარი შეადგინა. 2017 წლის დეკემბერში ბანკებმა 153 მლნ ლარის მოგება ნახეს. 2018 წელს მოგების გადასახადის სახით ბანკებმა სახელმწიფო ბიუჯეტში 123 მლნ ლარი გადაიხადეს. 2018 წელს ბანკების ჯამურმა შემოსავალმა 4.2 მილიარდი ლარი შეადგინდა, რომლის 79% საპროცენტო შემოსავლებზე, ხოლო 21% არასაპროცენტო შემოსავლებზე მოდის.

გრაფიკი: კომერციული ბანკების წმინდა მოგება (მლნ ლარებში)¹⁵



რაც შეეხება უახლეს მონაცემებს, არსებული ინფორმაციით, საქართველოს საბანკო სისტემის მომგებიანობის მაჩვენებელი მცირდება. ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, ბანკებმა 2019 წლის პირველ კვარტალში 198,601,000 ლარის მოგების გენერირება შეძლეს, რაც 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15%-ით ნაკლებია. საბანკო სისტემის მარტის თვის მიმოხილვის მიხედვით, თვის განმავლობაში ბანკების უკუგება აქტივებზე (ROA) 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 1.9 პროცენტს შეადგენს. უკუგება კაპიტალზე (ROE) კი 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 14.2 პროცენტს შეადგენს.

სტატისტიკის მიხედვით, ქართულმა ბანკებმა 2019 წლის პირველ კვარტალში 1,036,704,000 ლარის შემოსავალი მიიღეს, რაც 2018 წელთან შედარებით 10%-ით მეტია.

¹⁵ საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში; 2018.

თუმცა, შემოსავლების ზრდის ტემპზე მეტად - 18%-ით გაიზარდა ბანკების ხარჯები, რის გამოც ბანკების მოგების მაჩვენებელი შემცირდა. კომერციული ბანკების მთლიანმა ხარჯებმა 808,236,000 ლარი შეადგინა.¹⁶

უფრო დეტალური ინფორმაცია არსებულ მდგომარეობასა და საბანკო რეგულაციების გავლენის შესახებ წლის ბოლოს გავეცნობით. მანამდე კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბანკების მოგების შემცირება დაკავშირებულია ახალ რეგულაციებთან, რომელმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ბანკების სამომხმარებლო პორტფელი. ბანკების მოგების შემცირება კი ნიშნავს იმას, რომ ისინი ნაკლებად დააკრედიტებენ, როგორც საოჯახო მეურნეობებს, ასევე ბიზნესს, შესაბამისად ნაკლები ფული იტრიალებს ქვეყნის ეკონომიკაში.

¹⁶ საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში; 2018.

დასკვნა

საფინანსო ინსტიტუტებისათვის დადგა დრო, როცა ისინი განვითარების ახალ ეტაპზე უნდა გადავიდნენ. საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები საქართველოს საბანკო-საფინანსო სექტორში, მოკლევადიან პერიოდში გამოიწვევს საცალო დაკრედიტების შენელებას, სექტორში ხარჯების ზრდას, მოგებიანობის შემცირებას და კაპიტალზე მოთხოვნის ზრდას. თუმცა, გრძელვადიან პერიოდში საფინანსო სექტორის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე იქონიებს გავლენას.

საბანკო ზედამხედველობა და რეგულირება ძალიან კომპლექსური და რთული სისტემაა. იგი მოიცავს მრავალ ასპექტებს და საჭიროებს მუდმივად თვალ-ყურის დევნებას. გასათვალისწინებელია “ასევე” თითოეული ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა. იმისათვის რომ ქვეყნის ეკონომიკას და ფინანსურ სისტემას საფრთხე არ შეექმნეს, აუცილებელია ბანკების ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, კეთილსინდისიერების, სამართლიანობის და კანონთან შესაბამისობის მუდმივი კონტროლი და რისკების მონიტორინგი.

კომერციული ბანკები მოსალოდნელი ზარალის თუ ხარჯების გასტუმრებას ანუ რისკების დაზღვევას, მოგების მაღალი საპროცენტო მარჟით ახდენენ. გატარებული რეგულაციები დადებითად იმოქმედებს საპროცენტო მარჟაზეც. თუ ბანკების საკრედიტო პორტფელი გაჯანსაღდება, საპროცენტო მარჟის შემცირებასთან ერთად, გაიზრდება ლიკვიდურობა, რაც ზოგადად გახდება საწინდარი საპროცენტო განაკვეთის კლების მიმართულებით. ცვლილების შედეგად მოსალოდნელია საბანკო პროცენტების შემცირებაც და ეკონომიკის სტიმულირებაც საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდით.

გარდა ამისა, განისაზღვრა ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულება უზუნველყოს სესხების გამჭვირვალედ ამორტიზაცია, რაც გულისხმობს დარიცხული პროცენტის დაანგარიშებისას ყოველდღიური დარიცხვის პრინციპის გამოყენებას. ასევე, დაზუსტდა ხელშეკრულების ფორმების ნიმუშები. აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებათა

განხორციელების მთავარი მიზანია სექტორის ფინანსური მდგრადობის გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და კორპორაციული მართვის კულტურის ამაღლება.

ბაზელის კომიტეტის შეთანხმებების მიხედვით მოქმედების შედეგია ის, რომ ევროპაში საბოლოოდ შემცირდა ალბათობა მომავალში ბანკის გაკოტრებისა; სამომავლო საბანკო კანონმდებლობის ევროპულ ვერსიაში კიდევ ერთხელ მოისაზრება მთელი რიგი "მზარდი" ცვლილებები. ეს ცვლილებები აწესებს კონკრეტულ მარეგულირებელ მოთხოვნებს, რომლებმაც უნდა მოახდინონ ბანკების მხრიდან მეტად გონივრულ ქვეყნის სტიმულაცია. ევროპაში, რეზოლუციის შეთანხმებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საბანკო საქმიანობაზე, მისმა არარსებობამ კრიზისამდელ პერიოდში სერიოზული ზიანი მოუტანა ქვეყნების ეკონომიკებს. შედეგად 2012 წელს ევროპის ქვეყნებმა შეიმუშავეს საკუთარი რეზოლუციის შეთანხმებები და მკაფიოდ განმარტეს მისი დანიშნულება, რაც მათ საშუალებას მისცემს მაქსიმალურად აირიდონ მოსალოდნელი კრიზისები.

როგორც უკვე ავლნიშნე, კომერციული ბანკები დიდ გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, შესაბამისად აუცილებელია ამ საკითხის მუდმივი კვლევა და რეგულაციების შედეგებზე დაკვირვება, რათა თავიდან იქნას აცილებული ის რისკები, რომლის წინაშეც შესაძლოა დადგეს მოსახლეობა. ამასთანავე აუცილებელია მოხდეს მისი დადებითი ასპექტების სწორად გამოყენება.

თანამედროვე ეკონომიკაში, ჩვენს ქვეყანაში, კომერციული ბანკები ყველაზე მეტად მზარდი, განვითარებული და უმნიშვნელოვანესი ფინანსური რესურსების მქონე სფეროა.

ახალი საბანკო რეგულაციების მორგებას და ათვისებას გარკვეული დრო დასჭირდება და პირველ ეტაპზე შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული სირთულეებიც, თუმცა უნდა მოხდეს ყველა სტრუქტურის ჩართვა და ერთიანი მუშაობა იმისათვის, რომ ეს ეტაპი რაც შეიძლება უმტკივნეული იყოს მოსახლებისთვისაც და ბანკებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“; 1997; www.nplg.gov.ge
2. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“; 1998; www.nbg.gov.ge
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; 1997; www.matsne.gov.ge
4. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში; 2018;
5. საქართველოს ეროვნული ბანკი, ცნობარი საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ, საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები; თბილისი, 2006; www.nplg.gov.ge
6. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 23 დეკემბრის N1894-რს ნომერი ბრძანება; www.matsne.gov.ge
7. „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის N215/04 ბრძანება; www.matsne.gov.ge
8. „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის ბრძანება; www.nbg.gov.ge
9. ბარბაქაძე ხ. საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები; თბილისი, 2008; www.nplg.gov.ge
10. გაბრიჭიძე ა. საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების სრულყოფის გზები; თბილისი, 2009; www.nplg.gov.ge
11. გვიჩია მ. კაკაშვილი ნ. გარდამავალი პერიოდის სავალუტო პოლიტიკის პრობლემური საკითხები. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები; თბილისი, 2005; www.nplg.gov.ge

12. კაკულია რ. მურღულია თ. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში; თბილისი, 1999;
13. კაკულია მ. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში; თბილისი, 2001; www.nplg.gov.ge
14. კოვზანაძე ი. კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა; თბილისი, 2014
15. ნამჩავაძე ბ. როგორ ვითარდება ქართული საბანკო სისტემა; თბილისი, 2016; www.forbes.ge
16. სამსონაძე ვ. ბაზელის კომიტეტი და მსოფლიო საბანკო მაფია; თბილისი, 2014; www.aaf.ge
17. შალამბერიძე ხ. ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები; თბილისი, 2019;
18. Basel Committee on Banking Supervision. Amendment to the Capital Accord to Incorporate Market Risks; 1996; www.bis.org
19. Basel Committee on Banking Supervision. International Convergence of Capital Measurement and Capital Standards: Revised Framework-Comprehensive Version; 2006 www.bis.org
20. Basel Committee on Banking Supervision. Core Principles for Effective Banking Supervision; 2012;
21. www.ltv.ge
22. www.bfm.ge
23. www.commersant.ge
24. www.factcheck.ge
25. www.sputnik-georgia.com
26. www.space.ge
27. bag.ge